სახალხო გაზეთი

№ 917 ხუთშაბათი, 13 ივნისი 1913 წ. № 917

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი თიბათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 5 მ. 25 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

10 ივნისს, დილით ქ. ქუთაისში ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გადაიცვალა

დესპინე შერვაშიძის ასული გელოვანისა,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები და რძლები განსვენებულისა. პანაშვიდები ყოველდღე დილის 10-სა და სადამოს 7 საათზე, გასვენება ლეხჩუმისაკენ დანიშნულია ოთხშაბათს, 12 ივნისს, დილის რვა საათზე, ხოლო დაკრძალვა საგვარეულო ეკლესიაში, 14 ივნისს, დილით პარასკევს. 1349.

მიხეილ ლობჟანიძე გულითად ს მწუხარებით აუწყებს ნათესავებსა და მეგობრებს საყვარელის მამის

გრიგოლ დავითის ძის ლობჟანიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, სადამოს რვა (8) საათზედ. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 31), ამაღლების ეკლესიაში 14 ივნისს დილით 9½ საათზე. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 363

ნესტორი, კესარია, დალმატი, ვალოდია, შუშანიკა და ფეცია გალდავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

გალინა ნესტორ გალდავას ასულის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფ. ლანირში. 1351

ახალი კლუბი
(საზაფხულო თეატრი)

ხუთშაბათს, 13 ივნისს 1913 წ.

საოჯახო საღამო.

გამართულ იქნება **საოპერო წარმოდგენა.** იტალიის ქ. მილანის თეატრის „ლია სკალა", ოპერის არტისტკა **ქ-ნი სტელლი მარტე,** რომელსაც შესანიშნავი ხმა აქვს: ბარიტონი, ტენორი და სოპრანო, საჩქარო გრიმის და ტანისამოსის გამოცვლით, **შეასრულებს** 1) ყველა კაცების და ქალების როლებს ოპერა „პაია(ც)ი-მოზაიკა"-ს მუზ. ლეონკავალლისი. და 2) არიებს, სერენადებს და რომანსებს. ტოსტისა, რუბინშტეინისა, დენცისა, პუჩჩინის და სხვათა თხზულებისაგან. მდიდარი დეკორაციები, ტანისამოსი პარიზის ატელლიედან. აკომპანიატორი ბ. მაცოლო.

ადგილების ფასი 20 კაპ.—1 მანეთამდე.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს: კაცები 50 კაპ. მანდილოსნები და სტუდენტები 25 კ.

დასაწყისი სადამოს 8½ საათზე. 1234

პირველ-ხარისხოვანი დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა

საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, მუშტაიდის შესავალთან ნ. კუნდუხოვის ადგილზე.

დღეს, 13 ივნისს, გაიმართება

დიდი წარმოდგენა.

შესრულებულ იქნება საუკეთესო ნომრები.

იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისთვისაც მუშაობს ტრამვაი. განუწყვეტელი დებიუტები ახალი მსახიობებისა.

დღეს ბალეტია.

მეორე დებიუტი საამერიკულ ტურნიერზე **ლეგოვის ლამაზი ცოლი** გასტროლი დამსახურებული სასახლის მსახიობი-ა **ბულგარელ ქალის ქ-ნ თამარისა,** 1-ლი დებიუტი ცნობილ ამერიკელ დიდ სტიკიტის „ორკილების მეფის" **გუგო-გუგოსეტისა.** დებიუტი ცნობილი **კორდე-ბალეტისა,** რომელიც მოწვეულია ვარშავის დიდი თეატრის პრიმა ბალერინის **კრასოვსკაიასაგან, ქ-ნ ალექსის.** დებიუტი გამოჩენილ მეზღვაურთა **ძმ. რუდოლფისა და ორესტისა** იაპონურ გრძელ ჯოხზე.

დასაწყ. სად. 8 ს. დირექცია **ძმ. ესიკოვსკების.**

353 გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

დაეშურეთ რათა ორი ცხენის ფრანგული ქიდაობა ნახოთ!



ძმ. აზგარცების ცირკი

მიხეილის პროსპ., № 131, „აპოლლოს" თეატრის გვერდ.

ხუთშაბათს, 13 თიბათვეს გაიმართება

დიდი ბირფესული წარმოდგენა

შემდეგი სათაურით: **„რამდენიმე საათი პარიზში!"**

„Plusieure heures à Paris" მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი: პირველხარისხოვანი, საუკეთესო, საზღვარგარეთელი საავრაქციო ცირკის მეგასტროლეები ქალნი და კაცნი.

დღეს ყველაფერი ახალი და საინტერესოა!

დაწვრილებით პროგრამებსა და აფიშებში. მთელი სადამოს განმავლობაში განუწყვეტელი მხიარულობა!.. უნდა ნახოთ, რათა დარწმუნდეთ!

დაეშურეთ სანახავად!

პატივისცემით **ძმ. აზგარცები.** 359. გამგე **მ. ი. ლიტვინოვი.**

—◆ გამოსულია და იყიდება ◆—

ნ. შიუკაშვილის
პიესა **„მეგობრობა",** დრამა 4 მოქმედებ.

ფასი 30 კაპ.

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის ქალაქის სახალხო სახლთან არსებული ქართულ სახალხო წარმოდგ. მმართველი წრის გამგეობა ამით აცხადებს, რომ

საზოგადო კრება,

რომელიც 9 ივნისს არ მოხერხდა, დანიშნულია 18 ივნისს სადამოს 6 საათზე იქვე—ზუბალაშვილის სახალხო თეატრის შენობაში. ვისაც სურს **1912/3 წ. ანგარიშების მიღება,** ვთხოვთ ამისათვის მობრძანდნენ წრის კანტორაში (მიხეილის ქუჩა, სახ. № 102 ბინ. 8) ყოველ დღე სადამოს 6—7 საათამდე. 1160

ექ. ვ. დ. ლამბაშიძის
სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი
პატარა-ცემი

გაიხსნება 15 თიბათვეს—31 მარიამობისთვემდე.

მისამართი ფოსტით: ტფილისი, ექ. ვ. დ. ლამბაშიძეს. 299

20 ივნისიდან 17 აგვისტომდე

სოფელ დიდ-კარაკლისში, (ერევნის გუბერნია),

გაიხსნება რძის მრეწველობისა და მესაქონლეობის უფასო საზაფხულო კურსები

მიწათ-მოქმედების დეპარტამენტისა. ცნობებისათვის მიმართეთ ტფილისში **ა. ა. კალანტარს,** და სოფ. დიდ-კარაკლისში კურსების გამგეს **ა. ზ. თამამშევს.** 262

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით. ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს
	მალალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12—1 ს.
	ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
	ექ.-ქალ. **ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და ს. მშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.
	თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
	სულაკოვი ა. ი. ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. —1
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12—1.
	ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10—1.
	ჯავახიშვილი ნ. ნ. ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12
	ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
	ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606"** და **„914"** **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შ. ღავათიანი საფასურით. წ. 1035

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაზაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—1½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით
1053

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., სად. 6—8 ს. **ხემიონოვის ქ., № 18,** (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ., № 94,** კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ივ. გომართელი

პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307.

ექიმი შ. ა. მიქელაძე.

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე, სადამოს 5 ნახ.—8 ნახ. საათ. კათის ქ., № 6.

კბილის

ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და სადამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი
კბილისა
ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. სად. 5—7 ს., ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაქარაშვილისა.

სახელმწიფო სათათბირო
(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

11 ივნისის სხდომა

თავმჯდომარეობს **თავ. ვოლკონსკი.**

სხვათა შორის შემოტანილია საკანონმდებლო განზრახულება უქმე დღეებისა და დღესასწაულების შეცვლის შესახებ. გრძელდება კამათი გადმოსახლებულ უწყების ხარჯთაღრიცხვის შესახებ.

სიმონოვს შემოაქვს ფორმულა და გამოსთქვამს სურვილს სისრულეში იყვეს მოყვანილი ის უსაჭიროესი ღონის-ძიებანი, რომელნიც უწყებამ შეიმუშავა მესამე სათათბიროს სურვილის მიხედვით; მაგ. სასურველია გაყვანილ იქნეს სამხრეთ ციმბირის რკინის გზის მაგისტრალი.

ვოლკოვი. ემყარება იმ საჩივრებს, რომლებიც მუდამ მოსდისთ ციმბირელ დეპუტატებს და ამტკიცებს რომ უწყება გადმოსახლებულთა დასახლების დროს არ იღებს მხედველობაში ციმბირის მკვიდრთა ინტერესებს, ავიწროებს მათ, მიუხედავად იმისა, რომ მესამე სათათბირომ ორჯერ გამოსთქვა სურვილი ასეთი მოვლენა არ განმეორდესო. ორატორს შემოაქვს ფორმულა, რომელშიაც გატარებულია სურვილი მიიღოს უწყებამ მხედველობაში დასახლების დროს ციმბირელ მკვიდრთა ინტერესები, როგორც რუსებისა აგრეთვე არა-რუსებისა.

ჯაფაროვი. აღნიშნავს რომ უწყება სრულებით არ იღებს მხედველობაში ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესებს, როგორც მაგალითად თურქესტანში, კასპიის იქითა მხარეს და ამიერ კავკასიაში. მაჰმადიან დეპუტატები პროტესტს უცხადებენ თანამედროვე პოლიტიკას და ამის გამო გადმოსახლებელ უწყების ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების წინააღმდეგ მისცემენ ხმას (ტაში მარცხნივ).

გადმოსახლების უწყების გამგე, რომ მოიტანოს რამდენიმეთ დამამშვიდებელი საბუთები შესახებ არა რუსთ ინტერესების დაცვისა,—მოჰყავს მაგალითი ყირგიზის ველის დასახლებიდან. ყირგიზის ველის დასახლების განხორციელებისათვის არის ორი საშუალება: ან უნდა ჩამოერთვათ ყირგიზებს ზედმეტი მიწები და იქ დავასახლოთ რუსები, ან და ხელი შევუწყოთ თვით ყირგიზების დასახლებას. მაგრამ უწყება ვერ ჰბედავს შემოიტანოს ხელახლად კანონ-პროექტი შესახებ მომთაბარე ხალხისა, რადგანაც ასეთი კანონპროექტი ხელს შეუშლის კოლონიზაციის იდეას. ამიტომაც უწყება ხელმძღვანელობს არსებული კანონით, სახელდობრ იმით, რომელიც შესაძლებლად სცნობს მომთაბარე ხალხის ერთ ადგილას დამკვიდრებას და ამავე კანონით მათ ეძლევათ იმდენი მიწა, რამდენიც რუსებს. ამ რიგად მოეწყვნენ ყირგიზების დიდი რიცხვი. წელს 800,000 დესეტინა მიეცა ყირგიზებს დასამკვიდრებლად. თუ იმას ამბობენ, რომ ყოველივე ზემოხსენებული მხოლოდ ქაღალდზე კეთდება და ყირგიზები, რომელიც დაამკვიდრა მთავრობამ, ისევ მომთაბარეობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ყირგიზებს ეძლევათ მიწა ნორმაზე ზედმეტი. რაც შეეხება კავკასიას არც ქუთაისისა და არც ერევნის გუბერნიაში არ არსებობს არცერთი გადასახლებული უბანი. ბაქოს გუბერნიაში მდებარე მუღანის ველის გაჯანსაღება არ შეიძლება იცნოთ ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესების დარღვევად. რაც შეეხება ბურიატებსა ამ შემთხვევაში მათ მიწებს მაშინ ჩამოვჭრით ხოლმე, როდესაც იმათი მიწის მფლობელობა აღემატება 20—30 დესეტინას კომლზე. რაც შეეხება მკვიდრ რუს მცხოვრებლებს ამ შემთხვევაში უწყება მუდამ ცდილობს ახალშენებით არ შეავიწროვოს მკვიდრთა მდგომარეობა. ამ თვალთსაზრისით უწყება სიამოვნებით ეგებება იმ სურვილთ, რომელიც აქ იყო გამოთქმული, რადგანაც უწყება სთვლის, რომ უწყების მოქმედება სრულიად ეთანხმება აქ გამოთქმულ სურვილების შინაარსს (ტაში მარჯვნივ).

გადმოსახლების ხარჯთ აღრიცხვის შესახებ ლაპარაკობენ **სკობელევი, რისლევი, ჩხენკელი, ვოლკოვი, ეპისკოპოსი ანატოლი.** უკამათოდ მიღებულია ფორმულა საბიუჯეტო კომისიისა, **სიმონოვისა და მაკოგანისა** შესახებ უსასყიდლოდ მიმოსვლისა იმ პირთა, რომელნიც მიწის ადგილობრივ დასათვალიერებლად მიდიან ბაიკალის იქით მხარეს. **ვოლკოვის** ფორმულა უარყოფილია.

განსახილველია ხარჯთაღრიცხვა სახელმწიფო ცხენთა მოშენების უწყებისა.

დიმიტრიუკოვი მოახსენებს ხარჯთაღრიცხვას სახელმწ. ცხენთა მოშენების უწყებისას და აუწყებს სათათბიროს, რომ საბიუჯეტო კომისია წინადადებას აძლევს სათათბიროს შეიმუშავოს ისეთი გეგმა რომლის მიხედვითაც სისტემაში იქნეს მიყვანილი საერობო სუბსიდიების გაცემა.

ივანოვს მოჰყავს შემთხვევა, როდესაც ვოლინის სახაზინო საჯინიბოდან უწყებამ გაჰყიდა უვარგისობისათვის კვიცი. შემდეგ კი ეს უვარგისი კვიცი ხარკოვში სადოღო მოედანზე იყო გამოყვანილი. აღნიშნავს რომ უწყების მოქმედება მეტად პატრიარქალურია.

უწყების გამგე თავ. შჩერბატოვი აუწყობს, რომ ისეთ შემთხვევას რომელიც დეპ. ივანოვმა მოიტანა აქ, სამწუხაროდ, მართლა ჰქონდა ადგილი, ხოლო არ იყო

ბაზართალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ლიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. სადამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან სადამოს 5 ს.-დე.

ასპისოვი. ყურის, ცხვირის და ყელის ავადმ., ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არღუთინსკი. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ა. ხუდაბაშევი. ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 2—3 ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა სამშაბ., ხუთშაბ., შაბ და კვირ 4—5 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ბალდოევი. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ 1—2 ს

ექ. ქალ იოსელიანი ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

კალამკაროვი. ზიბია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმ. ყ.-დღე 11—1 ს.

ხაიდანოვი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ქალური და ს.შ.ებითი ავადმ. ყოვ.-დღე 1—2 ს.

ტ. ი. რუდენკო შინაგან სნეულ. კონსულტანტი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ა ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა; 11½—12½ საათ.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

სუროვცოვი. შინაგანი ბავშვ. 3—4 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wassermann"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ბოროტ-განზრახვით ჩადენილი. საჯინიბოს გამგეს მაშინვე წინადადება მიეცა სამსახურისათვის თავი დაენებებინა. შემდეგ უწყების გამგე აღნიშნავს, რომ რადგანაც ბევრი უჯდება უწყებას იქონიოს საკუთარი სავარჯიშო საჯინიბოები იგი კერძო პირებს აძლევს ცხენებს ვარჯიშობისათვის. თუ ასეთ მოქცევას სათათბირო არა—ნორმალად ჩასთვლის, მაშინ სათათბირომ წინადადება მისცეს უწყებას ააშენოს საკუთარი საჯინიბოები (ტაში მარჯვნივ).

ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია უწყების გამოანგარიშების თანახმად.

სათათბირო შეუდგა სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვას.

ზვეგინცევი მოახსენებს სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას. განუხილავს სამინისტროს მოღვაწეობა უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში და მომხსენებელი ამბობს: მართალია —სათათბიროს ზედგავლენით—სამინისტრო სწორ და ნამდვილ გზას ადგია სახელმწიფოს სამხედრო ძალის გასამაგრებლად და გასაუმჯობესებლად. ამისათვის ცოტა არა არის გაკეთებული. მოჰყავს მაგალითები და დასძენს: მიუხედავად ამისა სამხედრო უწყებამ არ უნდა შეაჩეროს თავისი წინსვლა, მით უმეტეს, რომ რუსეთი პირ-და-პირ უდგას ჩვენი მეზობელი მეგობარი სახელმწიფოების გაძლიერება-გამაგრებას. სათათბიროს აქვს უფლება ელოდდეს მინისტრისაგან იმის განმარტებას, თუ რა ღონისძიებანი უნდა მიიღოს უწყებამ, რომ შეასწოროს დარღვეული ძალთა განწყობილება.

საგენერალო შტაბის უფროსი აცხადებს, რომ სამხედრო უწყების მოღვაწეობას შეადგენდა მხოლოდ ჯარის ომისათვის მზადება. გასულ წლებში მოღვაწეობა გამოიხატა უფრო ინტენსიურ ციხე-სიმაგრეების ამართვაში. არამც თუ ძველი ციხეები შევამაგრეთ, არამედ ახლებიც ავშენდა. დასრულებულია ფრიად მნიშვნელოვანი საქმე—გაუბიცის დივიზიონებს შევძინეთ საჭირო გაუბიციები, ქვეითი ჯარს — ტყვიის მფრქვეველები. ორატორი აცხადებს, რომ მას არ შეუძლიან ხალხის დასწრებითი სხდომაზე ყოველივე სთქვას, მხოლოდ მიღებულია ღონისძიებანი გაუმჯობესდეს ქვეითი ჯარის მოძრაობის საქმე, მიღებულია ბევრი ღონისძიებანი ცხენოსან ჯარში, რათა გაუმჯობესებული იქნეს დაზვერის საქმე. მიღებულია ღონისძიებანი გაუმჯობესდეს ჰაერში ფრენის საქმე. ძველი საზვერავი მანქანები—მრგვალი, დასაბმელი ჰაეროსტატები მოვსპეთ. სათათბიროს სურვილის მიხედვით გაძლიერებულია გზატკეცილების გაყვანის საქმე, აგრეთვე დასავლეთ-საზღვარზე ვამრავლებთ რკინის გზის შტოებს და უქვემდებრებთ სამხედრო უწყებას.

ბალკანეთის ომმა ყველა სახელმწიფოები იძულებულ ჰყო დაჰკვირვებოდა თავინათ სამხედრო მოუმზადებას და ჩვენც ყოველი ღონისძიება ვიხმარეთ გაგვეახლებინა სამხედრო მომზადება და შეგვეძინა ჯარისათვის რაც კი რამ საჭირო იყო. ზოგიერთი მათგანი, როგორც მაგალითად ავტომობილების ტრანსპორტისა და საფრენი მანქანების შეძენა უკვე იცით. აღნიშნავს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მზადებას და დასძენს, რუსეთიც უნდა შესდგომოდა მომზადებასაო. სამხედრო უწყება უკვე შეუდგა კანონ-პროექტის შემუშავებას, რომლის მიხედვითაც უნდა გაუმჯობესდეს. ყოველივე დარგის ჯარის-გაუმჯობესობა გამოიხატება გაძლიერებაში. ყველა ეს ღონისძიებანი მოითხოვენ სამშობლოსაგან დიდ მსხვერპლს, როგორც ხალხით ისე ფულითაც. სამხედრო უწყება მადლობით ეკიდება კონტიგენტის გადიდების პროექტის დამტკიცებას. ამან შეძლება მოგვცა დაგვეწყო ეხლავე ჯარის ახალი მოწესრიგება მომავალში კი დაგვჭირდება დიდი ხარჯი. სამხედრო უწყება იმედოვნებს, რომ სათათბირო მისცემს მას საშუალებას იმდენად გაძლიერდეს ჯარი რომ მას შეეძლება მიეცეს მთელი თავის ძლიერებით დაიცვას სამშობლო და მისი მშვიდობიანი ინტერესები, როდესაც ძლიერი ხმა უმაღლესი სარდლისა მოიწვევს მას საომარ ველზე (ტაში).

ენგელგარტსა სწამს სამხედრო ბიუჯეტის ზრდა, რადგანაც სამხედრო ძალის შემცირება (...?), თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა მოითხოვს ჯარის გაძლიერებას. შესაძლებელ ევროპის ომში რუსეთი დამარცხებული ვერ დარჩება და ამიტომ საჭირო არის მომზადება ყოველივე შემთხვევისათვის. ორატორი ჰფიქრობს, რომ რუსეთის მოქმედება შორეულ აღმოსავლეთში შეიძლება პასსიური იყოს. გაიმაგრონ ის, რაც აქვთ. ხოლო აქტიური მოქმედება რუსეთისა უნდა იქნეს მიმართული ახლო აღმოსავლეთისაკენ, სადაც რუსეთის წინაშე აღმართულია ისტორიული საკითხი. ორატორი აღნიშნავს, რომ რუსეთში 4 წლის განმავლობაში გამოიცვალა 4 საგენერალო შტაბის უფროსი, გერმანიაში 55 წლის განმავლობაში 4. ასეთი მოვლენა არ მოსწონს ორატორს, რადგანაც იცვლებიან პიროვნებანი იცვლება სისტემაც, სუსტობს უწყება საინჟენრო საქმეში. ორატორი ეხება თუ როგორ ეკიდება მთავრობა ყაზახებს, რომელნიც განიცდიან ეკონომიურ კრიზისს. ვრცლად ეხება საარტილერიო უწყების ნაკლს. საერთო დასკვნისათვის მიუხედავად მოხსენებულ ნაკლულებებისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯარის შეიარაღების საქმე დასაკმაყოფილებლად არის მოწყობილი. ხარჯი ჯარისათვის არ არის დასანანებელი, რადგანაც ჯარი თავდებია სამშობლოს კეთილდღეობისა და მისი მშვიდობიანად წინსვლისა. იმისათვის რომ ჯარმა თავისი მიზანი უმჯობესად განახორციელოს, საჭიროა მეტი ნდობა საზოგადოებისა ჯარისადმი და მთავრობისა საზოგადოებისადმი.

პროტოპოპოვი აღნიშნავს, რომ შორეულ აღმოსავლეთში მოხდა ისეთი ცვლილებები, რის გამოც მოსალოდნელია დიდი პოლიტიკური მიზნით აფეთქება და ამიტომ საჭიროა გულმოდგინედ შევუდგეთ მზადებასა და ამით მოვაწესრიგოთ რუსეთის საქმე შორეულ აღმოსავლეთში. ახლო წარსულის მაგალითი ვერ არის უწყებისაგან საკმარისად გამოყენებული: შორეულ აღმოსავლეთის განაპირა ქვეყნები თითქოს დავიწყებულია. ორატორი უთითებს თუ რა უყურადღებოდ არის დატოვებული ჩინეთის საზღვარი მაშინ, როდესაც ჩინეთში სამხედრო მზადების საქმე საკმაოდ კარგად არის დაყენებული. უნდა ადგილობრივი ჯარი იყოლიოს რუსეთმა შორეულ აღმოსავლეთს. ღირებულება ამურის ნაპირას მდებარე ქალაქებისა, ამბობს ორატორი, რომელზედაც განსვენებული სტოლიპინი ლაპარაკობდა, არ დაცემულა, მხოლოდ საფრთხე, რომელიც ამ კუთხეს მოელის, უფრო გაძლიერდა. (ტაში მარჯვნით და ცენტრში).

სამხედრო მინისტრის კანცელარიის გამგე უპასუხებს ენგელგარტის შენიშვნებზე. რაც შეეხება ციხეების მდგომარეობას და საერთოდ დასავლეთ საზღვარს, იყო დრო, რომ ციხე-სიმაგრეები ვერ იყო სასურველად გადაკეთებული, რადგანაც თანხა ცოტა ეძლევოდათ; მხოლოდ ეხლა, როდესაც უწყების მოქმედება უზრუნველ ჰყავს, უწყება უკვე დაადგა ციხე-სიმაგრეების ძირითად გადაკეთებას. რაც შეეხება არტილერიის ქარხნებს, კანცელარიის გამგე ამბობს, რომ სამინისტრო ამ საქმისათვის სთხოვს სათათბიროს დიდ თანხას, რომელიც საჭიროა ქარხნების გადასაკეთებლად. რაც შეეხება არტილერიის რეორგანიზაციის საკითხს—ძალიან რთული საკითხია. მთავარი საარტილერიო გამგეობა ერთი წელიწადია მუშაობდა ამ საკითხის შემუშავებისათვის და ეხლა დამზადებულია კანონ-პროექტი, რომელიც წარედგინება სამხედრო საბჭოს და მინისტრი იმედოვნებს წარმოადგინოს ეს კანონ-პროექტი შემოდგომისათვის. რაც შეეხება ყაზახთა მდგომარეობას უწყებამ მიჰქართა ყოველ ღონისძიებას გააუმჯობესოს ყაზახთა მდგომარეობა, რაიც გამოიხატება განზრახულ რეფორმებში. ორატორი ჩამოსთვლის ყველა განზრახვას, თუ როგორი ცვლილება უნდა მოახდინოს უწყებამ (ტაში მარჯვნივ და ცენტრში).

რუსანოვი აღნიშნავს რა დამოკიდებულება არის ქ. ვლადივოსტოკსა და სამხედრო უწყების შორის და დასძენს: ეს დამოკიდებულება ცუდათ მოქმედობს ვლადივოსტოკის როგორც მატერიალურ ისე კულტურულ განვითარებაზე.

ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია საბიუჯეტო კომისიის გამოანგარიშების მიხედვით. ნეკრასოვს შეაქვს წინადადება განიმეოროს სათათბირომ მესამე სათათბიროსაგან გამოთქმული სურვილი. ნეკრასოვის წინადადება მიღებულია.

საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობს თავ. **ვოლკონსკი**.

ზვეგინცევი მოახსენებს ხარჯთ-აღრიცხვას მთავარ საინტენდანტო გამგეობისას.

კარაულოვი, მომხსენებელი სამხედრო და საზღვაო კომისიისა, მოახსენებს კომისიისაგან გამოთქმულ სურვილებს.

უფროსი სამხედრო ბრალმდებელი უპასუხებს კარაულოვს.

თევკელოვი აღნიშნავს, რომ მაჰმადიანთა რელიგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სამხედრო უწყება არავითარ ღონისძიებას არ ხმარობს. კარგი იქნებოდა უწყებას წაებაძა მონარქისათვის, რომელმაც ყირიმის მაჰმადიანებისაგან შემდგარ სიმფეროპოლის დრაგუნთა პოლკს ფული უბოძა მეჩეთის შესანახად. (ტაში მარცხნივ).

ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია. მიღებულია აგრეთვე რამდენიმე სურვილი სამხედრო და საზღვაო კომისიისაგან გამოთქმული.

მიღებულია ხარჯთ-აღრიცხვა საარტილერიო უწყებისა. მიღებულია ხარჯთ-აღრიცხვა სამხედრო სამოსწავლო უწყებისა.

გოდნევი მოახსენებს საგენერალო შტაბის ხარჯთ-აღრიცხვას.

ენგელგარტი მხარს უჭერს სამხედრო საქმეთა კომისიას.

პოლოვცევი 2-ე. მხარს უჭერს ფორმულას, რომელიც გამოსთქვამს სურვილს, რომ სამხედრო სამინისტრო ძალიან მომჭირნეთ მოეკიდოს საფრენი მანქანების ამორჩევას და საფრენად მოწვეული უნდა იყვნენ გამოცდილი პირნი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ საქართველოს ეგზარხოსმა ინოკენტიმ პეტერბურგს წასვლის წინ განკარგულება მოახდინა, რათა 16 ივნისს, წირვის შემდეგ ბუნების მეტყველთა და ექიმთა კრების მონაწილეთ ტაძარში აჩვენონ **ჯვარი ვაზისა**, რომელსაც ახვევია წმ. მოციქულთა სწორის ნინოს თმა.

◆ **ნაძალადევის** სახლის პატრონებმა დაადგინეს, სთხოვონ ქალაქის გამგეობას, ნაძალადევს „ივერიის ნაწილი“ დაარქვას, რადგანაც ამ რაიონში ეკლესია ივერიის მღვთის მშობლის სახელობისაა.

◆ **თამარ მეფის დროის არხის აღდგენა.** ქალაქის გამგეობის თაოსნობით, მიმდინარე თვის ბოლო რიცხვებში შეუდგებიან იმის გამოკვლევას, შესაძლებელია თუ არა აღდგენა იმ არხისა, რომელიც ძველად გაყვანილი ყოფილა არაგვიდან 20 ვერსის მანძილზე და რომელიც რწყავდა მიწებს, მათ შორის ახლანდელ საქალაქო მიწას კუკიის აკარაკში. არხის ნიშნები ახლაც არის და, როგორც მცოდნე პირნი ამბობენ, იგი გაყვანილია წმ. თამარის მეფობის დროს.

◆ **ფულის დამტყუებელთა შეპყრობა**. მაისის ბოლო რიცხვებში პოლიცმეისტერმა ფარული ცნობა მიიღო, ტფილისში შესდგა მძარცველთა ბრბო, რომელიც თავის თავს „ტერორისტთა მფრინავ რაზმს“ უწოდებს დამუქარის წერილებით მცხოვრებთ ფულსა სთხოვსო. ბრბოს წევრებს პოლიციელებმა ფარულად თვალყურის დევნება დაუწყეს. ბოლო ხანს გამოარკვიეს, რომ ბრბო ხუთის კაცისაგან შესდგებოდა და დრო-გამოშვებით ანდრეევის ქუჩაზე (№ 5) დალაქხანაში იკრიბებოდა. ბრბოს სამი წევრი, სახელდობრ მიხო კენტელაძე, ვასო ზუბაშვილი და ტატე ზალიაშვილი უცებ ტფილისიდან გაჰქრნენ. ისინი წავიდნენ დუშეთის მაზრის სოფელს იგუეთში, სოფელში სროლა ასტეხეს, ხალხი დააწიოკეს, რუს მებაღესა და ოსს თოფები წაართვეს და 31 მაისს ტფილისს დაბრუნდნენ. როდესაც პოლიციამ ბრბოს წევრთა ვინაობა გამოარკვია, მაშინ მათის დაჭერის თადარიგს შეუდგა. 8 ივნისს ოთხი მათგანი შეიპყრეს. ისინი აღმოჩნდნენ: 1) დუშეთის მაზრის სოფელ მჭადიჯვარის მცხოვრები მიხეილ პეპოს ძე კენტელაძე, 24 წლისა, დალაქი, რომელიც ნაძალადევში ვლადიმერის ქუჩაზე სცხოვრობდა, 2) ტფ. მაზრის სოფელ პატარძეულის მცხოვრები, მღვდლის შვილი ვასილ ევგენის ძე ზუკაშვილი, რომელიც ტამარინსკი ქ. (№ 5) სცხოვრობდა, მას აღმოაჩნდა ბრბოს ბეჭედი და იარაღი, 3) ტფ. მაზრის სოფელ დიღომის მცხოვრები გიორგი ისაკას ძე მამუჩაშვილი, 25 წლისა, რომელიც პოდგორნი ქუჩაზე (№ 5) სცხოვრობდა; მას ბერდანის თოფი აღმოაჩნდა, და 4) დუშეთის მაზრის სოფელ გრემისხევის მცხოვრები ვასილ გრიგოლის ძე ბეჟიტაშვილი 28 წლისა; მას ბერდანის თოფი და სხვა იარაღები აღმოაჩნდა. დაჭერილთაგან კენტელაძე და ზუკაშვილი დანაშაულში გულწრფელად გამოტყდნენ.

◆ **დამპალ ციებასთან ბრძოლა.** 24 ივნისს დამპალ ციებასთან მებრძოლი კავკასიის კომიტეტი დამპალ ციების საწინააღმდეგო კურსებს მართავს. კურსებზე მოწვეული არიან მოსკოვის უნივერსიტეტის საუკეთესო ლექტორები. კავკასიის სამკურნალო ნაწილის სამმართველო კურსებზე სოფლის 20 ექიმს ჰგზავნის. კურსებზე დასწრება ექიმთათვის უფასოა. კურსების მოსაწყობად და დამპალ ციების შესახებ წიგნაკების საშუალებით ცნობების გასავრცელებლად საერობო თანხიდან გადადებულია 10,900 მან.

ექიმთა ექსპედიცია, რომელიც მუღანს იყო წასული დამპალ ციებასთან საბრძოლველად, ტფილისს დაბრუნდა.

◆ **ჩაის სახმობი ქარხანა.** მიწათმოქმედების დეპარტამენტმა 7,400 მან. გადასდო ოზურგეთში ჩაის სახმობ ქარხნის დასარსებლად.

◆ **შემოსავალი სეირნობსა**, რომელიც 9 ივნისს „მიმოზა“-ს ბაღში გაიმართა სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების ნივთიერ ღონის-ძიებათა გასაძლიერებლად, იყო 300 მან., ხარჯი ამდენივე. საბოლოოდ წმინდა მოგება არ არის ჯერ ჯეროვნად გამორკვეული, მაგრამ, როგორც ეტყობა, 15-20 მან. არ აღემატება.

◆ **ჯარიმის პატიება.** 1913 წ. 1 იანვარს ქალაქ ტფილისზე ითვლებოდა 1.112,810 მან. სახაზინო ვალი და 130,031 მან. ჯარიმა. უმაღლეს მანიფესტის ძალით ქალაქს ჯარიმა სულ ეპატივა.

◆ სახალხო უნივერსიტეტთან არსებული ქართული სექცია მართავს თავის საღამოს კურსების მსმენელებისთვის **ექსკურსიას** მცხეთაში, კვირას 16 ივნისს. ექსკურსიის ხელმძღვანელი ბ-ნი ი. როსტომაშვილია. ექსკურსანტები გავლენ ტფილისიდან დილის (8 ს.) მატარებლით. ჩაწერა შეიძლება დღეს საღამოს 8 ს. ბარიათინსკის ქუჩაზე სამეურნეო საზოგადოებაში. სხვა დროს კი ზუბალაშვილის სახ. სახლის სამკითხველოში ს. თალაკვაძესთან.

◆ **მეხილეობა.** მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა რუსეთის მეხილეობის საზოგადოების ამიერ-კავკასიის განყოფილებას 1,500 მან. გამოუგზავნა მეხილეობის საქმის გასაუმჯობესებლად.

◆ **საბირჟო ცნობები.** 12 ივნისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა, აფასებენ 85 მან. 50 კ., აძლევენ—85 მან. 25 კ., ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა. აფასებენ—83 მ. 15 კ., აძლევენ—82 მან. 50 კ. და ქუთაისის სათავ.-აზნაურო საადგილ-მამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—80 მ. 40 კ., აძლევენ—79 მ. 75 კ.

◆ **საბავშვო გასართობები.** მასწავლებელ ქალთა საზოგადოება ამ

PRO ALBANIA *)

განათლებულ ევროპის ხმელეთზე ალბანეთი თითქოს პირველ-ყოფილ კულტურის კუნძულს წარმოადგენს. იმ დროს, როცა მის გარეშემო ცხოვრება ჰდუღს და მღელვარებს, ათასგვარ ფორმებს იღებს, ამ მხარის მცხოვრებნი მტკიცედ ინახავენ საუკუნოებით შექმნილ წეს-ჩვეულებებს და მამა-პაპათა ანდერძებს, რომელნიც ჩამოყალიბებულ არიან ერთგვარ შეუცვლელ კალაპოტებში. გაუვალ მთა-ტყეებში შეხიზნულ მთიულებამდის არ აღწევს მსოფლიო ისტორიის ბობოქრობა, ალბანელის ინტერესები ვიწრო თემის ფარგლებში ტრიალებენ და არ გასცილდებიან იმ კლდეების შეზღუდულ რკალს, რომელიც ბედს მისთვის სამშობლოდ ურგუნებია. ყველაზე ძვირფასი საუნჯე მისთვის თავისუფლებაა, ყველაზე უფრო მას თავისი სამშობლო უყვარს, რომლის შემგინებელსაც ის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს. მთელი ალბანეთის წარსული გამოიხატა სამშობლოს და თავისუფლების დაცვით, რომელზედაც მტრებს არა ერთხელ მიუტანიათ იერიში, მაგრამ ალბანელები თავის დღეში არ შერიგებიან მონობას და არ მოუხრიათ ქედი უცხო ბატონთა წინაში.

ამ გულადისა და მამაცი ერის ისტორია, როგორც საზოგადოდ ყველა ბალკანელ ერებისა, არ არის საბოლოოდ მეცნიერულად გამორკვეული. ოსმალეთის მეფობასთან ერთად ამ ნახევარ კუნძულს მოეფინა ისტორიული სიბნელე. ყველა ისტორიულ ნაშთს თურქები სისტემატიურად სპობდნენ და ანადგურებდნენ, ისე რომ ახლა მეცნიერებას უძნელდება ისტორიულ სინამდვილისა და უბრალო გადმოცემა—ზღაპრის ერთმანეთისაგან გარჩევა. არც ალბანელების შთამომავლობის საკითხია ჯერ მეცნიერებისაგან საბოლოოდ გადაჭრილი და ამ საგანზე არსებობს ათასგვარი მოწინააღმდეგე აზრი. თვით ალბანელნი თავის თავს „**სკიპეტარებს**“ უწოდებენ, რაც არწივის შთამომავლობას ნიშნავს. ზოგი მეცნიერის აზრით, აწინდელი ალბანელები ძველი პელაზგების ნაშთს წარმოადგენენ. არაბული გარდმოცემით კი ეს ხალხი უძველეს დროში მეწამული ზღვის კიდეებზე ბინადრობდა, საიდანაც გადასახლდა ევროპაში იმ უსიამოვნების გამო, რომელიც მოუხდა ამ თემის მთავარს ერთ არაბის შეიხთან. ეს უსიამოვნება კი იმით გამოიხატა, რომ ერთ შეტაკებაში ალბანელების წინამძღოლმა შეიხს თვალი გამოსთხარა, რისთვისაც მას ჯარიმა უნდა გადაეხადა, მაგრამ უარი განაცხადა და მთელი თავისი თემით გასცილდა იმ ადგილებს. სახელად მათ არაბებმა **არნაუტები** უწოდეს, რაც **უარისმყოფელს, დაუმორჩილებელს** ნიშნავს. ჩვენშიაც ხშირად გაგვიგონია, რომ სოფლებში ავსა და ბრაზიან ხალხს, ან გაუგონარ ბავშვებს არნაუტს ეძახიან. არ ვიცით, რითი უნდა აიხსნას ეს მოვლენა, მხოლოდ არიან ისეთი მეცნიერნიც, მაგ. ჰელბიგი, რომელნიც ალბანელებს ქართველთა ტომს უნათესავებენ, ზოგნი კი მოგვითხრობენ აფხაზეთში არსებულ გადმოცემას, რომლის აზრითაც აფხაზები და ალბანელები ერთისა და იგივე ეროვნებისანი არიან. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენს ახლანდელ კახეთს ერთ დროს ალბანია ეწოდებოდა. ასეა თუ ისე, ალბანელების შთამომავლობა მეცნიერებისთვის ჯერ გადაუჭრელი საკითხია. მხოლოდ ერთი რამე კი ცხადია და დამტკიცებული, სახელდობრ, რომ ალბანელები უძველეს ხალხთა რიცხვს ეკუთვნიან. უკვე **კლავდი პტოლომეი** იხსენიებს ალბანელებს და მათ უმთავრეს ქალაქს **ალბანოპოლისს** (ელბასანი) და თან დასძენს, რომ მათ არაფერი ნათესაობა არა აქვთ არც ბერძნებთან და არც სლავებთან.

ძველად ალბანელებს ვერ შეუქმნიათ ერთი სახელმწიფო, ამისათვის არ არსებობენ ისტორიული საბუთები. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ 604 წელს ქრისტეს წინად გალლებმა დაიჭირეს ალბანეთის ზღვის ნაპირები და ვინმე **ბელლოვას** თაოსნობით დაარსეს ილლირიის **სახელმწიფო** უმთავრეს ქალაქ შკოდრათი. ერთმა ბელლოვას მემკვიდრეთაგანმა დაიპყრო ეპირი და მაკედონია, მაგრამ შემდეგ ძლეულ იქმნა **ფილიპე მაკედონელის** მიერ 359 წ. ქ. წ. ამის შემდეგ **კლიტოსმა და გლაუკოსმა** გაიყვეს სახელმწიფო ორ ნაწილად, რომელთაც მდინარე დრინი საზღვრიდა. ამნაირად გალლების მიერ დაარსებულს ილლირიის სახელმწიფოში შედიოდა მთელი ალბანეთი, რომლის ჩრდილოეთი ნაწილიც დასახლებული იყო **გეგების** თემებით ხოლო სამხრეთისა ტოსკებით ილლირიის სამთავროს უკანასკნელი მეფე **გენტიუსი** ძლეულ იქმნა **რომაელებისაგან** 168 წ. ქრ. წ. და მთელი სამეფო გადავიდა მათ ხელში. ამის შემდეგ ალბანეთი ხდება **ბიზანტიის პროვინციად**, სანამ მეოთხე საუკუნეში ის არ დაიპყრეს აზიიდან შემოსეულმა **გოტებმა**. სლავთა ნახევარ კუნძულზე შემოსევამ სულ ერთიანად შესცვალა ბალკანეთის ისტორიის მსვლელობა. გოტების 50 წლის ბატონობის შემდეგ ალბანეთი კვლავ ბიზანტიის სამფლობელო შეიქმნა, მაგრამ ბულგარეთის **მეფემ სვიმონმა** (914—927) აიღო ნაწილი ალბანეთის ნაპირებისა. მას შემდეგ კი მეფე **სამუელმა** (986—989) დაიპყრო **დურაცო** და **ვალონა**. არ გასულა აძის შემდეგ ხანი, რომ ბიზანტიელებმა 1018 წ. კვლავ დაეპატრონენ ალბანეთს. **გიუსკარდმა ნორმანელ-კონდოტიერმა** აიღო **დურაცო** (1082) და მთელი ეპირი. 1110 წელს ალბანეთს შემოესივნენ **სერბები**, აიღეს დურაცო, რომელსაც ასეთი მნიშვნელოვანი ალაგი უჭირავს ალბანეთის ისტორიაში, მაგრამ განდევნილ იქნენ ბიზანტიის მეფის **ემანუელ კომნენის** მიერ. 1189 წლიდან ალბანეთს ეპატრონება სერბთა სამეფო, რომელიც **ჟუპან სტეფანე ნემანიამ** დაარსა. 1346 წ. სერბიის მეფე **სტეფანე დიდი დუშანი** იწოდება მეფედ სრულიად სერბიისა, ალბანეთისა და საბერძნეთისა. ამგვარად, როგორც ვხედავთ, უკვე ძველიდანვე ალბანეთი საცილო ბურთად იყო გადაქცეული ძლიერ სახელმწიფოთა შორის და განიცდიდა ფრიად მოუსვენარ ცხოვრებას.

პირველად თურქები ალბანეთს 1362 წ. შეესივნენ. ამის შემდეგ კი არ გასულა სულ სამოცი წელი, რომ **ბეგლარბეიმ** სულთან **მურად I** მხედართ სარდალმა სავრის ველზედ ბოლო მოუღო მაშინ ახლად აღორძინებულ ალბანურ ეროვნულ ორგანიზაციას—დურაცოს სამთავროს, რომელიც დაარსა ერთ წარჩინებულ თემის წარმომადგენელმა **ბალშამ** მე-II-მ და რომელშიაც შედიოდნენ აწინდელი შავი მთა, ჩრდილოეთი ალბანეთის ნაწილი, ბერატი და ვალონა.

ალბანეთის ბრწყინვალე და აყვავების ხანად ითვლება **გიორგი კასტრიოტა-სკანდერბეგის** დრო, რომელიც ხალხს, როგორც თავისი გმირული ხანა, ათასგვარი ზღაპრული თქმულებით შეუმკია. **გიორგი კასტრიოტას** მამა **ივანე**, კროის მთავარი იყო. როდესაც ის დამარცხებულ იქმნა 1423 წ. **მურად მეორის** მიერ, იძულებული გახდა თავისი ოთხი შვილი კონსტანტინეპოლში მძევლად გაეგზავნა. ცხრა წლის სკანდერბეგი ამგვარად შეიქმნა სულთანის ტყვედ. ის იზრდებოდა სასახლეში, სადაც მან შესაფერი განათლება მიიღო და როცა წამოიზარდა, შესანიშნავი სამხედრო ნიჭი გამოიჩინა, რისთვისაც სულთანის ჯარის სარდლობა მიიღო. სულთანი მას სრული ნდობით ეპყრობოდა და ეგონა, რომ ძალად გამაჰმადიანებულ გიორგის დაავიწყებდა თავის სამშობლოს, მაგრამ საქმემ მალე სულ სხვა დაამტკიცა. ივანე კასტრიოტის გარდაცვალების შემდეგ, ერთად-ერთ მემკვიდრედ გიორგი დარჩა, რადგანაც მისი სამი ძმა სულთანმა წინადვე მოაწამლინა. გიორგი კასტრიოტი ბევრი ეხვეწა მურადს, გაეშვა იგი სამშობლოში, რომ მამის მემკვიდრეობას მიჰპატრონებოდა, მაგრამ სულთანი უარზე იდგა. მაგრამ გამბედაობამ მალე გაუხსნა თვითმოქმედების გზა გიორგი კასტრიოტას. 1443 წელს, როდესაც ოსმალეთის ჯარი ძლეული იქმნა ნიშის ახლოს სერბებისაგან, **გიორგი კასტრიოტა** მიუხტა ჯარში მყოფ სულთნის მდივანს ღამე და სიკვდილის მუქარით გამოსტყუა მას ფირმანი, რომლის ძალითაც კროის სამთავროს მართველს ევალებოდა, მისთვის ციხე და ჯარი ჩაებარებინა. სამასი ერთგული მამულიშვილით გაემგზავრა სკანდერბეგი სამშობლოსკენ, სადაც მეშვიდე დღის შემდეგ მიაღწია და ჩიბარა შეშინებული მართველისაგან ციხე-ქალაქი. ეს მოხდა 13 ნოემბერს 1443 წ., რომელი დღიდგანაც იწყება ალბანელ ერის გმირული ხანა.

გიორგი კასტრიოტას გარშემო მალე შეიკრიბა ყველა ის, ვისაც თვისი სამშობლოსთვის გული უძგერდა. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰყავდა უმეტეს 18.000 შეიარაღებული კაცისა, კასტრიოტა არც ერთხელ არ ძლეულა ოსმალებისაგან ოცდა ხუთი წლის განმავლობაში, თუმცა გააფთრებული სულთანს მასზე იერიში იერიშზე მიჰქონდა და ლამობდა უძლეველ გიორგის ხელში ჩაგდებას. გმირმა **კასტრიოტამ** შეაერთა ერთსულოვანი მოქმედებისათვის ალბანეთის სხვა და სხვა თემი, რომელთაც ხშირად ერთმანეთში მტრული განწყობილება ჰქონდათ და მათ წინამძღოლთა კრებაზე **ლესში** იგი ამორჩეულ იქმნა მთელი ერის მთავარ-სარდლად. მან მოიხვეჭა უძლეველის სახელი. და მართლაც მის მოქმედებას მთელი ევროპა განცვიფრებაში მოჰყავდა, 1444 წ. ივნისში მან სძლია 17,000 კაცით 40,000 სულთნის ჯარი. სულთანი მაინც არ სცხრებოდა და საუკეთესო ჯარს ჰგზავნიდა მის წინააღმდეგ. მაისში 1449 წ. სულთანი **მურად მეორე** 150,000 კაცით შეესია ალბანეთს, მაგრამ კვლავ სამარცხვინოდ იქმნა იქიდან განდევნილი და დამარცხებული.

სულთან მოჰამედ მე-II, მურადის შვილმა, რომელიც სიმკაცრით და ომის სიყვარულით მამას სჯაბნობდა, გაანადგურა ბიზანტიის იმპერია და სერბია ოსმალეთის პროვინციად გადააქცია. ამ დროს, როცა მთელი ევროპა შიშის ზარმა შეიპყრო ბარბაროსების შემოსევისა გამო, რომის პაპმა **პიუ მეორემ** განიზრახა **გიორგი კასტრიოტა** ალბანეთის მეფედ გამოეცხადებინა და ჩაებარებინა მისთვის თურქების წინააღმდეგ აღძრული ჯვაროსნული ომის მთავარ-სარდლობა. ფრიად მოხუცე-

---

*) ჩვენ არც ბერძნები ვართ, არც ბულგარები, ჩვენ ალბანელები ვართ.

ალბანური ანდაზა.

ზაფხულს ალექსანდრეს ბაღში, ეკლესიასთან, საბავშვო გასართობებს მოაწყობს გამოცდილ მასწავლებელ ქალთა კომისიის ხელმძღვანელობით. გასართობები დაიწყება 14 ივნისიდან.

✦ **ექსკურსია ველოსიპედებით.** ტფილისში აწყობენ ველოსიპედით მოსიარულეთა ექსკურსიას, რომელიც ამ ზაფხულს კავკასიის სხვა და სხვა ადგილს მოივლის.

✦ განვლილ მაისის განმავლობაში ტფილისში 103 **ბოროტ-მოქმედება** მომხდარა, რომლის გამოც ბოროტ-მოქმედების ადგილას 109 კაცი შეუპყრიათ.

✦ **მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტმა** ამ დღეებში უფროსი სპეციალისტი ვ. ი. ვისნიოვსკი ბორჩალოს მაზრას გაჰგზავნა, სადაც ვენახები დაათვალიერა. ვენახები ყველგან კარგს მდგომარეობაში აღმოჩნდა და წელს კარგის მოსავლის იმედს იძლევა.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებაში.** საზოგადოების **თელავის განყოფილებას** 1912 ჰყოლია ორი საპატივო და 89 ნამდვილი წევრი. უმთავრესი ყურადღება მიუქცევია განყოფილების სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმის უკეთესად დაყენებისთვის: მოუმატებია მეორე განყოფილება და მეორე მასწავლებელიც მოუწვევია. განყოფილების გამგეობის საჭირ-ბოროტო საკითხი ყოფილა: დიდის ილიას მამულის (ყვარელში) მოწყობა-მოწესრიგება, რისთვისაც წინასწარი ღონისძიებანი უკვე მიუღია. გამგეობას მომავალში აზრად ჰქონია სკოლაში მესამე განყოფილება განხსნას, ილიას მამულში სკოლა დაარსოს, დაარსოს აგრეთვე საკვირაო სკოლები და ბიბლიოთეკები და სახალხო წარმოდგენები მართოს. 1912 წელს განყოფილებას შემოსავალი ჰქონია 2,072 მან. 39 კ. დახარჯულა 861 მან. 93 კ. კერძოდ სკოლას შემოსავალი ჰქონია 1,042 მან., რომელიც სკოლის საჭიროებაზედვე დახარჯულა. **ბორჯომის განყოფილებას** 45 წევრი ჰყოლია. შემოსავალი (საწევრო გადასახადი, სეირნობა-წარმოდგენების შემოსავალი და შეწირულებანი) ჰქონია 345 მან. 81 კ., ეს ფული უმთავრესად ბიბლიოთეკა-სამკითხველოზე დაუხარჯავს. **გუდაუთის განყოფილება** 1912 წლის დეკემბერში დაარსდა, ამიტომ საანგარიშო წელს რაიმე თვალსაჩინო საქმის გაკეთება ვერ მოასწრო. განყოფილების უმთავრეს საზრუნავ საგანს შეადგენს გუდაუთში ქართულ სკოლის დაარსება. **ჭიათურის განყოფილებას** 32 წევრი ჰყოლია. შემოსავალი ჰქონია 799 მ. 22 კ.; დახარჯულა 682 მან. 36 კ. გამგეობის მომავალ მოქმედების გეგმას ისევ ის შეადგენს, რაც 1912 წელს სხვა და სხვა დაბრკოლების გამო განუხორციელებელი დარჩა: სკოლებისა და სამკითხველოების გახსნა, წიგნის მაღაზიის გამართვა, არსებულ სკოლა-სამკითხველოებისთვის დახმარების აღმოჩენა და სხვა. დანარჩენ განყოფილებებს თავის მოქმედების ანგარიშები გამგეობისთვის ჯერ არ გამოუგზავნიათ.

✦ **ქალაქის საბჭოს** უკანასკნელი კრება დღეისთვის არის დანიშნული.

სასამართლო

✦ **დეპეშა გირუსიდან.** 1905 წელს მომთაბარე თათრებმა სოფ. მანკენდი (ზანგეზურის მაზრა) ააწიოკეს, სადაც 250 სომეხი ამოსწყვიტეს. სასამართლომ კატორღა მიუსაჯა: 12 წლისა—ექვს, 10 წლისა—ათს და 8 წლისა—შვიდს, ციხე: რვა თვისა—ხუთს, ერთს—ოთხი თვისა; ერთი გაამართლეს.

დღიური

მრეწველი

შევხვდი ერთს ნაცნობს ქართველ მრეწველს. საზოგადო მისალმების შემდეგ, როგორც გვჩვევია, დავიწყეთ ლაპარაკი ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის შესახებ: რა გვიშველის, როგორ დავაღწევთ თავს განსაცდელს, რა მოგველის ახლო მომავალში.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემმა ნაცნობმა მწუხარებით აღნიშნა, რომ ქართველები მოკლებულნი ვართ მუყაითობას, დღემდე ვერ შევჩვევივართ მომჭირნე ცხოვრებას, წარმოდგენა არა გვაქვს თუ, რა არის ანგარიში. მეტყვიან, ქართველ კაცს ფული და სიმდიდრე უყვარსო. ეს მართალია, მაგრამ უყვარს გასაფლანგავად, შესაჭმელად. ქართველები სრულებით არა ვართ უნიჭონი ფულის მოგებაში, პირიქით ბევრსაც ვჯობნით ამ საქმეში, რადგან გაბედულნი ვართ, ახალ გზა-კვალს ვეძებთ, მაგრამ უმთავრესი ცხოვრებაში ფულის მოგება კი არაა, არამედ მისი გონიერად მოხმარებაა, სარგებლობა, გამოყენება ახალი სიმდიდრის შესაძენად, წარმოების თუ ვაჭრობის გასაძლიერებლად.

ქართველი ხშირად ფულს გასაოცარის სიმხნით და დაუღალავის შრომით იძენს. ხოლო, როგორც კი ცოტათი გამდიდრდება, უეჭველად ავად გახდება ერთნაირის ავადმყოფობით, რომელსაც ფულის ფლანგვის ჟინი უნდა ვუწოდოთ, და იმავე სიმხნით შეუდგება უთავბოლო, უაზრო ხარჯვას და არ მოისვენებს, სანამ ჯიბე მთლად არ დაუცალიერდება. ხომ მოგეხსენებათ ერთი ჩვენებური თავადის ამბავი, რომელსაც ნერვები აეშალა მიტომ, რომ ჯიბეში რამდენიმე ათასი მანეთი ჰქონდა და სრულებით გამომთელდა, როგორც კი განთავისუფლდა ამ ფულისაგან.

ეს ჩვენი საზოგადო თვისებაა, ასეთია თავადიც, ვაჭარიც, გლეხიც. არ ვიცი, რა პირობებმა შეჰქმნა ჩვენში ეს თვისება, მაგრამ იგი დღემდე ღრმადაა ჩანერგილი ჩვენს გულში და დიდად აფერხებს ქონებრივ განვითარებას. ცხოვრებაში შემოსავალი და გასავალი ერთმანეთზე მჭიდროდაა გადაბმული, ცხოვრება ანგარიშია, შეთანასწორება შემოსავალ-გასავლისა. ვინც მხოლოდ წუთით არ ცხოვრობს, თავის ცხოვრების საფუძვლად თავის შემოსავალს დაუდებს და ეცდება, რომ შემოსავალი ყოველთვის სჭარბობდეს გასავალს. ქართველი კაცი კი ცხოვრებას გასავალზე ამყარებს: ხარჯავს იმიტომ, რომ უნდა ხარჯოს და იმას ოდნავადაც არ ჰფიქრობს, შემოსავალი ჰფარავს გასავალს თუ არა. ჩვენთვის არ არსებობს ბალანსი, სასწორი, და გვავიწყდება, რომ ყოველ ხალხს ჰყავს თავისი უხილავი ფინანსისტები, მოანგარიშენი, რომელთაც ერთი ფარაც არ გამოეპარებათ დაუთვლელი და ყოველ წლის ბოლოს გასაოცარი სისწორით აღბეჭდავენ ცხოვრების ფურცლებზე ხალხის მოგებას და ზარალს, წარმატებას თუ ჩამორჩენას.

შეიძლება, ეს უანგარიშობაა იმის მიზეზი, რომ ჩვენში დღესაც უპატივცემლოდ ეპყრობიან ქონების შემქნელს, შემძენელს—მწარმოებელს, მრეწველს. მე სრულებით არ მინდა ვეკამათო ვისმე იმის შესახებ, რომ მრეწველი სჩაგრავს თუ არ სჩაგრავს მუშას—ეს სხვა სოციალური საკითხია. მაგრამ აქ მე მაინტერესებს ქონებრივი მხარე საქმისა, ის, რომ მწარმოებელი, ე. ი. სიმდიდრის შემძენელი, ქვეყანას ამდიდრებს, ქონებრივად აწინაურებს, ამაგრებს. ეს გალონიერება კი უდიდესი საშუალებაა ხალხის, ერის განვითარებისა. ვფიქრობ, არავინ დაიწყებს დავობას, რომ ქონებრივად ღატაკი ერი ყველაფერში ჩამორჩენილი იქნება, რომ ერის არსებობის უმტკიცეს საფუძველს ქონებრივი კეთილდღეობა შეადგენს, რომ როგორც კერძო ადამიანს არ შეუძლიან უსმელ-უჭმელად გაძლება, ასეა მთელი ერიც, მისი ქონებრივი სიძლიერე არის მისი სულიერი სიძლიერეც.

მაშასადამე, ყოველს ეჭვს გარეშეა მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში იმ ადამიანისა, რომელიც ქონებას ჰქმნის, ქონების შექმნაში იღებს მონაწილეობას. სამწუხაროდ რას ვხედავთ ჩვენში? ვინმე უბრალო „კაკარდიანი" მოხელე უფრო პატივცემულია, ვიდრე შეძლებული. ვინმე უმნიშვნელო რეპორტერი—ბოდიშს ვიხდი მეგაზეთეების წინაშე—დიდი საზოგადო მოღვაწეა, და ზედაც არ შეხედავენ იმას, ვინც ქვეყნის გასამდიდრებლად მოუსვენრად მწარე ოფლსა ჰღვრის. ვინმე მეკარნახეს, სუფლიორს იუბილეებს გადაუხდიან დიდის ამბით, ზეიმით, ხოლო ვინა გდია, ვიღაც მწარმოებელი, მრეწველი! იგი ხომ ქონების შესაძენად მუშაობს და განა სათვალავში ჩასაგდებია?

განა ყოველივე ეს სალი მოვლენაა და მართლა ამით, ან მხოლოდ ამით აშენდება საქართველო?—საყვედურით შემეკითხა ჩემი მოსაუბრე ბასის დასასრულს და გამშორდა, სანამ რაიმე პასუხს ვეტყოდი.

არ მინდა, აქ ვისიმე როლი გამოვაკლო ჩვენს ცხოვრებაში. ერთს რასმე კი ვიტყვი: საჭიროა, საჭიროა მეტის ყურადღებით მოვეპყრათ ცხოვრების ქონებრივს მხარეს.

სიტყვა.

ბულს, მაგრამ სულით მხნე მღვდელმთავარს აზრად ჰქონდა თვითონ გაძღოლოდა ჯარს ჯვრით ხელში, რომ მით წაექეზებინა ევროპის სხვა მეფეებიც და დაეცვა კულტურა საფრთხისაგან, მაგრამ როდესაც **პაპი პიო** ანკონაში ჯვაროსანთა ფლოტისკენ უნდა გამგზავრებულიყო, იგი უცებ გარდაიცვალა. მთელი ოსმალობის ტვირთი ალბანეთს დააწვა. **მოჰამედ მე-II** დიდძალი ჯარით შეესია ალბანეთს. რადგანაც მან **კასტრიოტს** ძალით ვერაფერი დააკლო, მიჰმართა სხვა ხერხს. ათას გვარი დაპირებით მან მიიმხრო გიორგის ერთი ამხანაგი და მისი ძმისწული, მისცა უკანასკნელს ალბანეთის ვეზირობა და ჩააბარა მრავალი ჯარი მოძმეთა საწინააღმდეგოდ. მოღალატენი ძლეულ იქმნენ გმირ **კასტრიოტას** მიერ და კვლავ დაბრუნდნენ მასთან. გიორგიმ მათ სულგრძელად აპატია დანაშაული. ალბანეთი კვლავ თავისუფალი დარჩა. სულთანი ბევრს სცდილობდა, მორიგებოდა გიორგი კასტრიოტს, მაგრამ სულ ამაოდ; მის მიერ დაწერილ წერილში, რომელშიაც თავის თავს **„გიორგ კასტრიოტა, სკანდერბეგად წოდებული, მთავარი ეპიროტელთა და ალბანელთა და იესო ქრისტეს მხედარი"** უწოდებს, მან უკუ აგდო სულთანის ყველა საცდელი მორიგებაზე, არ უღალატა თავის სვინდისს და განსვენებულ პაპის ანდერძი არ გასტეხა. რა დაინახა სულთანმა, რომ გიორგი–გმირთან ბრძოლა ძვირად უჯდებოდა, გადასწყვიტა ალბანეთისათვის სრულიად თავი დაენებებინა და ამიტომ სცნო **„გიორგი კასტრიოტა, სკანდერბეგად წოდებული და მისი შთამომავლობა ალბანეთის სამუდამო სრულ-უფლებიან მართველად"**, თუკი თვით სკანდერბეგი არ დაარღვევდა პირველად მშვიდობიანობას. არც სულთანის ამგვარმა გადაწყვეტილებამ შეაცვლევინა **გიორგი კასტრიოტს** თვისი თურქების წინააღმდეგ მიმართული მოქმედება. განრისხებული **მოჰამედ მე II** შეესია ალბანეთს 200.000 კაცით გაზაფხულზედ 1466 წელს, მაგრამ ამ ჯერადაც იგი ძლეული უნდა დაბრუნებულიყო უკან.

დაუცხრომელმა შრომამ, მხედრულმა ცხოვრებამ და ომიანობამ ბოლო მოუღო ამ უძლეველ ერის თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირს. 17 იანვარს 1467 წელს გარდაიცვალა გიორგი კასტრიოტა. არავის ისე კარგად არ დაუფასებია ამ იშვიათი პიროვნების მნიშვნელობა, როგორც მის მტერს და მოწინააღმდეგეს სულთანს: **„ახლა შემიძლიან ვიმეფო მთელს აზიასა და ევროპაში; ვაი ქრისტიანობას, მან დაჰკარგა თვის ფარხმალი"**. სთქვა მან რაკი შეიტყო გიორგი კასტრიოტას სიკვდილი.

ალბანეთს,—მოკლებულ თავის გმირს, რომელიც არწივივით თავს დასტრიალებდა და დარაჯად უდგა სამშობლოს,—შავი დღე დაუდგა. ალბანეთმა თერთმეტი წელიწადი იომა თავის დამოუკიდებლობის დასაცველად, მაგრამ ბოლოს ძლეულ იქმნა დაუცხრომელ ძლიერ მტრისაგან. 1478 წ. ცამეტი თვის ალყის შემდეგ დაეცა უმთავრესი კასტრიოტას მიერ შექმნილ ალბანეთის სამთავრო ქალაქი **კროია**. და მას აქეთ დაწყებული, ალბანეთი ოსმალეთის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

ი. ტ.

(შემდეგი იქნება)

პატარა ფელეტონი

მოუკვლელი წყურვილი

ა. ანდრ—ის ახულს

განუსაზღვრელ უდაბნოს სივრცეზე ობლად იძვრის შეუპოვარი მხედარი. შორის ქვეყნიდან წამოსულს დიდი აქვს სავალი გზა და იგიც მიდის... მიდის შეუსვენებლად.

უცნობი და უთვისტომოა იგი, ვით უდაბნოს იდუმალ წიაღში ამოტეხილი გრიგალი—არ იცის, სად დაიცეს ბინა, სად ჰპოვოს მყუდრო თავშესაფარი. ეულად დაძრწის კიდით-კიდემდე: იგი და მისი ერთგული აქლემი.

მიდის...

არე არეს ენაცვლება, უსახო და განურჩეველი... მზე დ' უდაბნო. სასტიკ ქარი—ჰამსინი ცათამდე აიავებს ცხელ სილას. ჰორიზონტს ზღუდავს განუჭვრეტელი რიდე მისი... ცეცხლის მოლიცლიცე ენა რბილად აღელვებს ტიალ მიდამოს. ალმურმა დაუშრეტელმა დასთუთქა თვალთა ქუთუთონი—უპე უპეს ვერ ეკარება. სასას მიეკრა გამხმარი ენა: წყურვილი წივის მის სასულეში, ვით ხვრელში მომწყვდეული ასპიდი.

—აჰ, ერთი წვეთი, მხოლოდ ერთი წვეთი მადლიანი სითხისა!

და მიდის... მიდის შეუფერხებლად.

ხანდახან ირხევა ზანტი აქლემი, მას ტანს აყოლებს მწირი მხედარი.

მიდიან, მიდიან: იგი და აქლემი... და, აჰა, ჰხედავს მგზავრი იგი:

იქ, სადაც იფარგლება ვერცხლის ტბასავით აღაპლაპებული ზედაპირი უდაბნოისა, თვალნათლად მოსჩანს ნანატრი კუნძული, მყუდრო სავანე მაშვრალი სულისა: მაცოცხლებელ ნაკადს გრილი ლახვრით გაუპია გავარვალებულ სიპის მკერდი და ბროლის ვრეხილად დაჰკიდებია წვეტიან ხორხს;

ჟღურტულებს, მოსთქვამს უდაბნოის მადვიძებელი სოლინარი...

ფეჩო—ფოთლიანი პალმები აჩრდილოებენ მის ნაზ სისოვლეს.

სჩქეფს და წინწკლებად იბნევა, რაგინდრაფერ წინწკლებად.

—ოჰ, ჩქარა, ჩქარა! მხოლოდ ერთი წვეთი...

და მიელტვიან: იგი და მისი კუზიანი თანამგზავრი...

სივრცე განიერდება. მანძილი გრძელდება. უძრავად ლაპლაპებს ვერცხლის ტბა, თვალის მომჭრელი. ცეცხლი გიზგიზებს. ენა ქვავდება. ნაკადი კი ისევ წანწკარებს, ცივი და ანკარა...

—ვიშ, რა კარგია! ჩქარა, ჩქარა... აკვანივით ირხევა ფეხ-ნელი აქლემი და მის ზურგს დანდობილი მწყურვალე მგზავრი.

მიდიან...

შორს, აღმოსავლეთიდან, მუქარით სისინებს უდაბნოის რისხვა—ცხელი ჰამსინი. ცის მკერდს მიჰკვრიან ურწყულნი ქორნი. მტვერის ღრუბელში მიჰქრის უგზო-უკვლოდ კანჯართა ჭრელი ჯოგი. სივრცეს აყრუებს მათი ჭიხვინი:

—წყალი, წყალი!

იგერ კი, სულ ახლოს, ოდნავ ტორტმანებენ თავმძიმე პალმები. მათ ჩრდილში, ნაკადის პირად, მხართეძოს წამოწოლილა რკინის ფერი ქალწული და თრთის ვნებით ალსავსე, თვალი ნანატრი ოაზისისა. ტანს განუძარცვავს მქრალი სამოსი ფერადი აბრეშუმისა. გიშრის შლილი თმა წელს შემოუხორბლავს და... ელის, ელის ჟამსა ლოცვისას დიდი ალაჰის შესამკობელად...

—ოჰ, მალე, მალე! ერთი წვეთი წყალი და... ქალის ღიმილი...

ჰორიზონტი ილულება. სივრცე მატულობს. უძრავად მოსჩანს ვერცხლის მდორე ტბა. კვალ და კვალ მოსდევთ საზარელი, მწველი ჰამსინი.

იგინი კი—ისევ მიდიან: მაშვრალი მგზავრი და მისი ერთგული აქლემი...

და ივლიან, ივლიან, ვით გუშინ, დღეს, ხვალ—ივლიან ამიერიდან უკუნისამდე, ობლად, ეულად.

ჭ. უმბაძე.

მოსკოვის სამხატვრო თეატრი

(გასტროლები ოდესაში)

I.

„ალუბლის ბაღი" ა. ჩეხოვისა.

ჰყვავის ალუბლის ბაღი. თეთრი ყვავილით მოსილია ხეივანი. მრავალ თაობათა მესაიდუმლეა ეს ბაღი, ისევე, როგორც ძველის-ძველი ტრადიციებით აღსავსე მებატონის სახლი. ოდესღაც სიცოცხლე სჩქეფდა ამ სასახლეში, მდუმარება უცხო იყო ამ კედლებისათვის. არა ერთისა ან ორი ადამიანის ბედი გადაწყვეტილა აქ. მაგრამ მალე, ძლიერ მალე სამუდამოთ ამოიქოლება ეს სახლი, თითქმის გაპარტახდება, სამუდამოთ გამოეთხოვებიან ამ კარმიდამოს მისი უკანასკნელი პატრონნი. ალუბლის ბაღიც დაჰკარგავს თავის რომანტიულ მშვენიერებას, სიკეკლუცეს. თეთრი ყვავილი აღარ შეჰმოსავს ამ ტურფა ბაღსა—იგი სხვა მიზანს უნდა ემსახუროს. ლამაზი, კეკლუცი, მაგრამ გამოუსადეგარი ალუბლის ბაღი სამუდამოდ დაჰკარგავს ისეთსავე კეკლუცს, მეოცნებე პატრონს, როგორიცაა რანევსკაია და გაევი. ამ ბაღის ახალი პატრონი ლოპახინია, ახალი ფორმაციის ადამიანი, ვაჭრულის ანგარიშით გაჟღენთილი, პრაქტიკულის ალღოთი დაჯილდოვებული. მალე მოიქნევს ლოპახინი ცულს, შეუბრალებლად გაჰკაფავს იგი ამ პატარძალსავით თეთრით შემოსილს ხეივნებს და მოტიტვლებულ ადგილას გააშენებს აგარაკს, რომელსაც დიდი ფასი უნდა დაედოს, რადგანაც აქ მალე რკინის გზა გაივლის. გაჰქრება ძველი სახლ-კარი, აღარ აყვავდება ალუბლის ხეივანი. ძველი რომანტიული ცხოვრება გზას უთმობს ახალს პრაქტიკულ ხანას, რომელიც სიკეკლუცეს მაინცა და მაინც ძლიერ როდი დაეძებს.

ამ ალუბლის ბაღსავით ზედმეტნი, გამოუსადეგარნი არიან ახალი ცხოვრებისათვის რანევსკაია და გაევი. იგინი ოცნებებითა სცოცხლობენ, ოცნება ასულდგმულებს მათ, რომანტიული ხასიათი აკავშირებს მათ ამ თითქმის საისტორიო არე-მარესთან. და ჩეხოვიც განსაკუთრებულის სიყვარულით და ალერსით ეხება მათ: იგინი ხომ უმწეო ბავშვები არიან, რომელთაც თავზე უბედურება დაატყდათ მოულოდნელად. პიესის გმირია ეს ბავშვური უმწეობა, მათი მოუმზადებლობა, მათ განსაკუთრებული სინაზე და რომანტიული ხასიათი—ყველა ეს ჰბადებს ჩეხოვის სევდას. ჩეხოვი სუსტთა და უძლურთა მგოსანია, იგი მგოსანია შემოდგომის გაცრეცილი, სევდიანი დღისა, როდესაც ადამიანს, ვით ხეს დაცვივნული გამხმარი ფოთოლი, გულზე კაეშანი აწვება.

განსაკუთრებით ჩეხოვის ნაწარმოებთა ელეგიური ხასიათი „ალუბლის ბაღშია" აღბეჭდილი. ეს პიესა—სევდაა, გამოწვეული ჩვენი ცხოვრების მიერ, რომელიც ანადგურებს ოდესღაც მშვენიერს, ამ ჟამა კი გამოუსადეგარს ალუბლის ბაღს, რომელიც უმწეოდა სტოვებს ამ მშვენებათა მოტრფიალეთ.

მოსკოვის სამხატვრო თეატრმა პიესის ელეგიურ ხასიათს მიაქცია თავისი ყურადღება. სევდა-კაეშანი,—აი, ის ლეიტმოტივი, რომელსაცა გრძნობთ პიესის ასრულებაში და ასე განსაჯეთ, თვით დეკორატიულ მხარეშიაც. პირველი სურა იიდანვე მძიმე ლოდსავით გულზე მწუხარება აწვება ადამიანს და შემდეგ ეს თითქოს ზედაპირული გრძნობა თანდა-თან გიმორჩილებთ. მოხუცის მსახურის ფირსის უკანასკნელი სიტყვები „დავავიწყდი, კაცი დაამწყვდიესო"—უკანასკნელი აკკორდი სევდიანი ჰანგისა. თვით ის ორიოდე მხიარული წუთი, რომელიც აქა-იქაა გაფანტული პიესაში, ეს ორიოდე წუთიც აძლიერებს, აღრმავებს სევდა-კაეშანს.

ეპიხოდოვი—აი, ვის შემოაქვს სცენაზე მხიარულება—ეპიხოდოვი, რომელსაც განსაკუთრებულის ხელოვნებით ასახიერებს ბ-ნი მოსკვინი. პირველი გამოსვლისთანავე იგი თქვენს ყურადღებას იპყრობს. მიხვრა-მოხვრა, კილო, გრიმი, ტანისამოსი—ყველა ეს ჩინებულად აქვს შერჩეული მსახიობს თავისი გმირისათვის. სადა, გულწრფელობით სავსეა მის მიერ ნაამბობი თავგადასავალი—ოცდა-ორი უბედურება, რომელიც მას თავზე დაატყდა. ამ როლის ამსრულებელს თავისუფლად შეუძლიან შარჟის ხასიათი მისცეს ეპიხოდოვს. მაგრამ, არა! მოსკვინის ასრულებას ხელოვნური ზომიერების და უზომო ხელოვნების ბეჭედი აზის.

აი, თქვენ წინ სდგას მოხუცი მსახური ფირსი—ბ-ნი არტიომი. დაჩაჩანაკებული, თავისებური ფილოსოფოსი, მრავალ თაობათა მოწმე დღეს თუ ხვალ სიკვდილის მსხვერპლი შეიქნება. ფირსმა იცის მრავალი საიდუმლო, მაგრამ იგი სამარესავით სდუმს. იგი შეჰსისხლხორცებია მებატონეთა ყოფა-ცხოვრებას, მათ კარ-მიდამოს, ძვირფას ალუბლის ბაღს, რომლის სიკვდილთან ერთად გაჰქრება ფირსის მახსენებელიც. მსახიობი სარგებლობს მთელი თავისი ხელოვნებით და განსაკუთრებულის სითბოთი და გულწრფელობით ასრულებს ფირსის სურათს. ოდნავ დასახული ნაკვთიც კი საკმარისია მსახიობისათვის, რომ თქვენ უკვე მთელი სურათი წარმოგიდგენთ. ასეთი ნაკვთებისაგან შესდგება არტიომის ფირსი, რომელსაც ვერას გზით ვერ აღმოიფხვრით მეხსიერებიდან.

მშვენიერი გაევია ბ-ნი სტანისლავსკი. გაევი—უკვე სასიკვდილოთ განწირულის მშვენიერების და ძველი ოჯახის რომანტიზმის განხორციელებაა, გულკეთილი ბავშვსავით უმწეო და გულუბრყვილო იგი უდარდელად იღიმება. მაგრამ ამ უდარდელ ღიმილში ერთგვარი სევდა გამოსჭვივის. მუქთამჭამელა ბატონი გაევი ძვირს არავის უსურვებს, ბოროტებას ვერ მიემხრობა. მართალია, ბ-ნი სტანისლავსკი მეტად ხელმოჭერით ხარჯავს გარეგნულ, დამახასიათებელ თვისებებს,—როგორიცაა, მაგ., ჟესტი, ან მიხვრა-მოხვრა,—მაგრამ ამ სიძუნწის მიუხედავად, სტანისლავსკის მიერ დახატული გაევის სახე ჩვენთვის მეტად ცხადია, მისი სულისკვეთება, მისი განცდა ჩვენთვის დაუფარავია. კეთილი, ნაზი, დარბაისლობით აღსავსე გაევი უფრო ძვირფასია ჩვენთვის თავისი სულიერი ავლადიდებით, ვინემ პრაქტიკული ცხოვრების მოძღვარი ლოპახინი ან იდეებით აღჭურვილი ტროფიმოვი.

ლოპახინი სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენს გაევთან შედარებით. უსარგებლო რომანტიზმი ლითონი სიტყვაა ლოპახინისათვის, თუ კი მისთვის არსებობს რომანტიზმი. მეტი სარგებლობა, ცხოვრების ყოველი წუთის გამოყენება, ეკონომია—აი, ლოპახინის მიზანი. მშვენიერება მისთვის იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც ეს მშვენიერება მეტს სარგებლობას მოუტანს მას. გლეხის ოჯახიდან გამოსული იგი ალბად მალე გაეცნო აღებ-მიცემობას, ხოლო ამ უკანასკნელმა გააღვივა მასში ენერგია და მოგების წყურვილი. ყველა ამ თვისებით აჯილდოვებს ლოპახინს ამ როლის ამსრულებელი ბ-ნი მასალიტინოვი. მძიმე მოძრაობა, აწონ-დაწონილი, ცხრაჯერ მოფიქრებული და ერთხელ წარმოთქმული სიტყვა, შესაფერი ახოვანება—აი, ლოპახინის ტიპიური თვისებანი. უამთვისებოდ ლოპახინი წარმოუდგენელია, სხვაგვარი ლოპახინი ვერ შეეძლო მიეცა ძველს, ოჯახურს წესწყობილებას...

ბავშვისავით უდარდელია, ცხოვრებაში გამოუცდელი ქ-ნ კნიპერის მიერ შექმნილი რანევსკაია. კნიპერი ჩინებულად გადმოგვცემს რანევსკაიას სულიერ განწყობილების ცვალებადობას, რანევსკაიას სულიერ დრამას, მის ლირიკას, რომელიც პიესის დედა-ძარღვს შეადგენს.

ცოცხალი, ტიპიურია სემიონოვ-პიშჩიკი ბ-ნი გრიბუნინი და ალექსანდროვის მიერ დასურათხატებული იაშკა.

დანარჩენ ამსრულებელთა შესახებ ისიც საკმარისია ვსთქვათ, რომ იგი სამხატვრო თეატრის მსახიობნი არიან.

მწყობრი, კონცერტიულის ასრულებით სამხატვრო თეატრი ძლიერს შთაბეჭდილებას სტოვებს. და განა მარტო მსახიობები ჰქმნიან ამ შთაბეჭდილებას? მთელი სცენა, მისი ყოველი კუნჭული, ტილო, ფერადი წამლები, სინათლე—ყველა ეს შეუთანხმებია სამხატვრო თეატრს მსახიობთა თამაშთან. მართლაც რამდენი სიცოცხლეა, რაოდენი ჭეშმარიტებაა ყველა იმაში, რასაც ამ სცენაზე ვხედავთ! რაოდენის გემოვნებითაა შესრულებული სახლის შინაგანი მოწყობილება ან ფანჯრის იქით გადაშლილი, თეთრი ყვავილებით მოსილი ალუბლის ბაღი? არა, ეს ტილო არ არის,—ეს ნამდვილი ოთახია. რომლის კედლებსაც ძველი სურათები ამშვენებს, რომელშიაც მძიმედ ისვენია ძველი სავარძელი და მრავალ თაობათა მოწმე მძიმე, საიდუმლოებით აღვსილი შკაფი. თქვენ გრძნობთ მზის სხივის სითბოს, თქვენ გრძნობთ ნიავის სიცელქეს—რადგანაც ფანჯარაზე მიმაგრებული ფარდა ოდნავ ირხევა. გარედ კი პერსპექტივაა, თვალუწვდენელი პერსპექტივა! ხელოვნურად განათებული მდელო სცოცხლობს, ყოველი მაღლობი სრულს სინამდვილეს წარმოადგენს, მდინარეც ზედ გადადებული ხიდით სრულს ილუზიას ჰბადებს მაყურებელში. და როდესაც უკანასკნელად ეთხოვებიან ძველი პატრონნი ამ კარმიდამოს, როდესაც ბარგი უკვე შეკრულია და ქილობებში და მაფრაშებშია გახვეული, როდესაც ის მამა-პაპეული შკაფიც კი იატაკზეა გაშხლართული,—თქვენს ყურადღებას იპყრობს ერთი წვრილმანი:—კედელზე ის ადგილი, სადაც წინედ სურათები ეკიდა, უფრო მუქი ფერისაა, ვიდრე კედლის სხვა ადგილები—სურათებმა დაიფარეს კედლის ეს ადგილები ჟამთა ვითარების ზედგავლენისაგან. შემოდგომის გაცრეცილი ამინდი სრულის ილუზიითაა ასრულებული და მსახიობთა თამაშთან ერთად იწვევს თქვენში კაეშანს, უზომო კაეშანს...

დაეშვა ფარდა. გაჰქრა ალუბლის ბაღი. და გულს გიღრნის ჩუმი, შემოდგომის დღესავით მძიმე კაეშანი.

პ. დადვაძე.

(შემდეგი იქნება)

მუშათა ცხოვრება

✦ რიგაში გაიფიცნენ რუსეთ-ბალტიის ვაგონების ქარხნის სამქედლო განყოფილების მუშები, მოითხოვეს ქირის მომატება.

✦ რადომში გაიფიცნენ მეჩექმეთა შაგირდები და მოითხოვეს ქირის მომატება.

✦ ლესნერის ქარხნების პატრონნი არავითარს საშუალებას არ ერიდებიან, რომ როგორმე გაფიცულ მუშების ერთობა გასტეხონ. დღემდის ესეთი ცდა თითქოს უნაყოფო გამოდგა და მხოლოდ 20—25 კაცი დაიყოლიეს შრეიკბრეხერობაზე.

◆ პალის სამანუფაქტურო ფაბრიკაში გაფიცული მუშები მხნედ არიან და არაფერს უთმობენ ადმინისტრაციას. გადასწყვიტეს ანგარიშის მიღება.

რუსეთი

დუელი დეპ. ა. კერენსკისა და ფ. რაჩკოვსკის შორის.

შრომის ჯგუფს უკანასკნელ სხდომაზე დაუდგენია, რომ ჯგუფი შეუძლებლად სცნობს დუელის საშუალებით გადასწყდეს კონფლიქტი, რომელიც დეპ. კერენსკის სიტყვამ გამოიწვია და დაავალა დეპ. კერენსკის რწმუნებულებს დეპ. ვარლამ გელოვანს და პროფ. ნერასოვს ეს გადაწყვეტილება გადაეცათ დეპ. რაჩკოვსკისათვის. როგორც ორივე მხარის რწმუნებულთა მოლაპარაკების დროს გამოირკვა, დეპ. კერენსკი მზად არის სათათბიროს ტრიბუნიდან განაცხადოს, რომ იგი სწუხს იმ სიტყვების წარმოთქმის გამო, რომელმაც ვითომ შეურაცხყო პოლონელთა კოლო. კოლოს წარმომადგენელნი არ კმაყოფილდებიან ასეთ განცხადებას და მოითხოვენ კერენსკისაგან ბოდიშის მოხდას. დეპ. კერენსკი თანახმაა ამისა, თუ კი კოლოს წარმომადგენელნი განაცხადებენ, რომ მათ არ მიუმართავთ ცენტრის პარტიისათვის—კამათის მოსპობის შესახებ. კოლო უარს ამბობს—ასეთი განცხადებით ვერ გამოვალთ, რადგანაც მაშინ კერენსკის ბოდიშის მოხდა მნიშვნელობას დაჰკარგავსო. თუმცა პოლონელი დეპუტატები ირწმუნებიან, თხოვნით არ მიგვიმართავს არავითარ პარტიისათვისაო, მაგრამ ოქტომბრისტებისა და ნაციონალისტების პარტიის დეპუტატები ჰმოწმობენ იმ ფაქტს, რომ პოლონელი დეპუტატები მომხრენი იყვნენ კამათის მოსპობისა და კიდეც მისცეს ხმა ასეთ წინადადებასაო.

„სატირიკონის“ თანამშრომელთა უთანხმოება.

18 მაისს სრულიად რუსეთის ლიტერატორთა სამედიატორო სასამართლოს გადასცა ჟურნ. „სატირიკონის“ გამომცემელმა ბ. კრონფელდმა განსახილველად კონფლიქტი, რომელიც კრონფელდისა და „სატირიკონის“ თანამშრომლების: ბ.ბ. ავერჩენკოსა, რადკოვისა და რემიზოვის შორის მოხდა. სასამართლო შეადგენდნენ: თავმჯდომარე ვ. დ. ნაბოკოვი, ს. ა. ვენგეროვი, ლ. ფ. პანტელეევი და ლ. სოლომინსკი. სასამართლოს ორი სხდომა ჰქონია. უკანასკნელ სხდომაზე განუხილავთ „სატირიკონის“ მე-23 ნომერი და აგრეთვე ახლად გამოცემული „ახალი სატირიკონი“. სასამართლომ გამოარკვია, რომ მოპირდაპირეთ ამ ჟურნალებში მოუთავსებიათ ერთმანეთის დამამცირებელი კარრიკატურები და წერილები. ასეთი მოქმედება მოპირდაპირეებისა სასამართლოს უცვნია შეურაცხმყოფელად სასამართლოს მნიშვნელობისა, რადგანაც სასამართლოში გამოწვევის შემდეგ მოპირდავირენი ზნეობრივად მოვალენი არიან მოსპონ ერთმანეთის დამამცირებელი კამათი. ამის მიხედვით სასამართლოს დაუდგენია: „სასამართლომ ზედმეტად სცნო ამ საქმის განხილვის გაგრძელება, რაოგან იგი არ შეეფერება სასამართლოს ღირსებას და ამიტომ ამ საქმის წარმოება სრულიად მოისპოო“.

დეპუტატის სამართალში მიცემა.

მინისტრთა საბჭომ განიხილა იუსტიციის მინისტრისაგან წარმოდგენილი თხოვნა აზნაურის ივანე დიმიტრის ძის ივანოვისა, რომელშიაც უკანასკნელი სთხოვს მინისტრთა საბჭოს, სამართალში მისცეს სახელმწიფო სათათბიროს წევრი ლეონიდ ნოვოსილცევი, რომელმაც მას ცილი დასწამა სათათბიროს ტრიბუნიდან. მინისტრთა საბჭომ დაადგინა, გადასცეს თხოვნა განსახილველად სახელმწიფო საბჭოს 1 დეპარტ.

რედაქტორების დაჯარიმება და სამართალში მიცემა.

გაზ. „პრავდას“ რედაქტორი ბ. კოზიუხინი სამართალში მისცეს 129 მუხლის 1 და 3 პუნქტებისა და 1034 მუხლის ძალით. გაზ. „ლუჩის“ რედაქტორი კორესპონდენციისათვის „ჰიათურა (წერილი მეორე)“ სამართალში მისცეს 129 მუხლის მე-6 პუნქტის ძალით. რედაქტორი გაზ. „რეჩისა“ და „რუსკაია მოლვა“-სი დააჯარიმეს ხუთას-ხუთასი მანათით.

50.000 მ. ანტიოქიის პატრიარქს.

უწმინდეს სინოდს მიჰმართა ანტიოქიის პატრიარქმა თხოვნით, რათა რუსის სახელმწიფოს აზიელ მართლმადიდებელ ქრისტიანთა ეკლესიისათვის 50.0000 მ. მიეცა ვალის გასასტუმრებლად. უწმინდესმა სინოდმა ამ დღეებში განიხილა ეს თხოვნა. საბლერის აზრით, ანტიოქიის პატრიარქისათვის დახმარების გაწევას არა მარტო საეკლესიო, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ექნება, რადგან აზიელ ქრისტიანების დახმარება დღევანდელ პირობებში საუკეთესო გამომხატველი იქნება რუსეთის ძლიერებისა ახლო აღმოსავლეთში.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

11 თიბათვე.

უცხოეთი

შერბურგი. გამოიარა ინგლისში მიმავალმა პუანკარემ. სადგურზე მას ადგილობრივი მმართველობა მიეგება. პუანკარე რატუშოში გაემგზავრა, ხალხი ოვაციებით უხვდებოდა. ქალაქის თავმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ მთელი ფრანგის ხალხს გრძნობა თან გაჰყვება მას მგზავრობის დროს. პუანკარემ უპასუხა: მომავალი დღესასწაული ორი უდიდესი ხალხის მეგობრობის დღესასწაული იქნება, რომელნიც აფასებენ დამოუკიდებლობას და თავის ნებით შეერთდნენ სიყვარულით მუშაობისა და პროგრესის თავისუფლებისათვის. მეცოდინება რა, რომ მე თან მიმყვება თქვენი ერთსულოვანი ნდობანი, ვიგრძნობ რომ ნაკლებ უღირსი ვიქნები მეზობელ ხალხისათვის საფრანგეთის აზრის და გრძნობების გადასაცემად.

მისალოცი სროლის დროს აფეთქება მოხდა. მოკლულია 2, მძიმედ დაიჭრა შვიდი ჯარის კაცი. ოფიცერი მსუბუქად დაჭრილია.

შერბურგი. დილის 7 საათზე საფრანგეთის ესკადრა, რომელზედაც იყვნენ პრეზიდენტი პუანკარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, ინგლისისაკენ გაემგზავრა.

ლონდონი. 3 საათსა და 30 წუთს სადგურ ვიქტორიაზე პუანკარე მოვიდა, რომელსაც სადგურზე მეფე მიეგება. სადგურიდან პრეზიდენტი და მეფე სასახლისკენ გაემგზავრნენ. ხალხი ოვაციებით ეგებებოდა.

სტამბოლი. დილის სამ საათზე ბაიაზეთის მოედანზე ჩამოახრჩეს მაჰმუდ-შევკეტ ფაშის მკვლელობაში მონაწილე 12 კაცი. მათ რიცხვში: სულთან აბდულ-ჰამიდის სიძე დამადრაიხა-ფაშა, სამი ოფიცერი, ერთი ჟანდარმი, 7 მოქალაქე, დანარჩენ 11 კაცს, რომელთაც გაქცევა მოასწრეს, მათ შორის შერიფ-ფაშას, პრინც საბაჰ-ედინს და შინაგან მინ სტრად ნამყოფს მეჰიდ-ბეის მისჯილი აქვთ ჩამოხრჩობა.

ბუქარესტი. ნაციონალისტების კრებაზე ლაპარაკობდნენ ტრანსილვანიისა და ბუკოვინის რუმინების დაჩაგვრის შესახებ; უთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ მილიონზე მეტი ბესარაბიაში მყოფი რუმინები არ მოხვედრიან დენაციონალიზაციის უღელს და თავისუფლად აღიარებენ თავის სარწმუნოებას. ავსტრიის ქვეშევრდომი რუმინები კი დიდ წვალებას და შევიწროებას განიცდიან. სიტყვებს ერთი აურზაური და ავსტრიის წინააღმდეგ დიდი დემონსტრაციები მოჰყვა.

მუკდენი. მანჯურიის პრესამ კატეგორიულად გამოსთქვა აზრი იუანშიკაის პრეზიდენტად დასახლების შესახებ.

კოპენჰაგენი. ქვედა და ზედა პარლამენტში მინისტრ-პრეზიდენტმა ახალი კაბინეტის თანადასწრებით წარმოსთქვა სიტყვა და ხაზი გაუსვა იმას, რომ ახალი კაბინეტი უმთავრეს ყურადღებას საკონსტიტუციო საკითხებს მიაქცევს. პარლამენტის სწრაფი სესია დაიხურა.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო აცხადებს; ცარიბროდში შეხვედრის დროს, გეშოვმა წინადადება მისცა პაშიჩს, რომ საკავშირო ხელშეკრულება გამოექვეყნებინა და მასთან დამატებანიც. თუ ეს გამოქვეყნება არ მოხდა, ამაში ბულგარეთს ბრალი არ უდევს. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ დიდი განსხვავებაა მეფე ფერდინანდის მიერ იმპერატორის დეპეშაზე გაგზავნილ პასუხისა და სერბიელების ნოტაზე მთავრობის პასუხს შორის, საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ორივე დოკუმენტებში გატარებულია საკავშირო ხელშეკრულებისადმი აბსოლიუტური პატივისცემის პრინციპი, ხოლო სერბიის ნოტის პასუხი უეჭველად უფრო გარკვეული უნდა ყოფილიყო, ვიდრე ხელმწიფის საპასუხო დეპეშა.

ბელგრადი. სამინისტრო კრიზისი იმის გამო მოხდა, რომ სამხედრო მინისტრსა და დანარჩენ მინისტრებს შორის არბიტრაჟის შესახებ უთანხმოება მოხდა. ხმების მიხედვით სათავეში ისევ პაშიჩის კაბინეტი ჩადგება ცოტა შეცვლით.

სოფია. მმართველ წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ახლო მომავალში სერბია დასთანხმდება იმ პირობებზე, რომელიც რუსეთმა და ბულგარეთმა წამოაყენეს.

ბელგრადი. იმის გამო რომ სამხედრო მინისტრის კანდიდატის გამონებნა საძნელო გახდა, სამინისტრო კრიზისი ჯერ არ გათავებულა. 13 ივნისისათვის მოწვეულია სკუპშჩინა.

უსკიუბი. მოვიდა ბელგრადში მიმავალი სამხედრო მინისტრი—პრეზიდენტი ვუკოტიჩი.

რუსეთი.

პეტერბურგი. შორეულ-აღმოსავლეთის ელჩი იტყობინება, რომ ამ დღეებში საელჩოს გადასცემენ 6 გვამს, რომელიც ამოიღეს 1905 წ. დაღუპულ ჯავშნოსანის „პეტროპავლოვსკი“-დან. ერთი გვამი ეკუთვნის ადმირალ მალასს, დანარჩენები გამოურკვეველია.

გაზეთ „შრომის ხმის“ № 16 ნომერი დაიჭირეს წერილისათვის „სახელმწიფო სათათბირო“.

გაზეთ „დენის“ რედაქტორი პასუხისგებაში მისცეს № 151-ში მოთავსებულ წერილების გამო.

ოდესა. დილით იტალიელების დელეგაცია ჩამოვიდა. დელეგაციას მიეგება ადგილობრივი მთავრობა, ქალაქის წარმომადგენლები, ვაჭრები. მისალმებაზე როსსიმ უპასუხა, რომელმაც აღნიშნა, რომ დღეს დამთავრებული მოგზაურობა დელეგაციისა რუსეთში, აღმოუფხვრელ სახსოვრად დარჩება დელეგატების გულში.

პოლტავა. გაზეთებში აღნიშნული იყო, რომ სოფ. კაპუსტინცაში ცეცხლის დროს 80 ქალი დაიწვაო. ეს ცნობა მართალი არ გამოდგა.

იაროსლავლი. თავ. ურუსოვის სამაგიერო სათათბიროს წევრის არჩევნები ივლისის ბოლოსათვის არის დანიშნული.

ოდესა ქალაქის საბჭოს ახალი შემადგენლობის პირველ სხდომის დროს ქალაქის მმართველის თანაშემწემ მისალმების დროს უსურვა ხმოსნებს, რომ პოლიტიკას ასცდენოდნენ და საქმიან მუშაობას შესდგომოდნენ. ხმოსნების ერთსულოვან სურვილით ხელმწიფე იმპერატორს გაეგზავნა დეპეშა, სადაც აღნიშნეს უქვეშევრდომილესი გრძნობანი.

ლვოვი. უნივერსიტეტში სტუდენტები გაიფიცნენ. მათ მიემხრნენ უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლის მსმენელნი.

გატჩინა. 3 საათზე ბრენდენჟონკი რეველისაკენ გაფრინდა.

რეველი. ბრენდენჟოკი 5 საათსა და 45 წუთზე მოფრინდა, უვნებლად დაეშვა და საზღვაო საკრებულოში წავიდა.

შემოწირულება

კონსტანტინე დიმიტრის ძემ ყიფიან- შემოსწირა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას თავისი მამის, დაუვიწყარის დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის სხვა და სხვა ქაღალდი და ხელთნაწერი, რომელიც გამგეობამ უკვე ჩაიბარა და მუზეუმში მოათავსა.

საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას მოახსენებს პატივცემულ შემომწირველს.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი პატივცემული გაზეთის № 911 მოთავსებულ ქრონიკაში, არ ვიცით რა მიზეზისა გამო, შეგპარვიათ ერთი შეცდომა, რის შესწორებაც, ჩვენის აზრით, აუცილებელია.

მკითხველ საზოგადოებას ამცნობთ, თითქოს ტფილ-სის დრამატიული საზ. გამგეობა ჩვენც შეგვკრიდეს პირობით მომავალ სეზონისათვის. რადგან ამნაირ ხელშეკრულობას ჯერ-ჯერობით არავითარი ადგილი არა ჰქონია, ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, ხსენებული ცნობა შეასწოროთ.

მსახიობნი: **ნ. დავით-შვილის ახული, დ მგალობლიშვილი, გ. იშხნელი.**

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).
ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 1 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **სა ჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 31 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საზ.** დილ. 8 ს 2 წ (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ

ცხეთამდი: № 65, **სააგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **სააგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ, 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ჩქარო** პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე) № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 06, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.
უბნები
1—2 **გ. ა. გედევანიშ** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შაგერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

მსურს ვიყიდო
გამორჩეული, დაგეშილი
მიმინო
მსურველთ უნდა მიმართონ მუშტაიდში, საზაფხულო თეატრში, სცენაზე მომუშავე არტისტს. 360

ЖАСМИНЪ ФЛОРИДА
ДУХИ
ПУДРА
МЫЛО
О-ДЕ-КОЛОНЬ
ПРОДАЖА ВЕЗДѢ
Т-ВО ПРОВИЗОРА
А.М.ОСТРОУМОВА
Метцль 148544.
1123

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ, № 3, სახ. გაბაშვილი ა

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—და 3. **ფომინა-თხილოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქურ. ლ. ქათანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ა. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მაილაკნის მოედანზე.

პარიზის სულმთლად ◆ ახალი ფასონები ◆
კორსეტები
ვენის საკორსეტე [illegible] სახელოსნოში
მ. ა. ლევინი
ტფილისი, [illegible] ქუჩა. 1168.

ვასწავლი
ქართულ **„სიმღერა-გალობას“**
და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისთვის. მუ-მივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზედ, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან** კვირაობით, ოთხშაბ. და შაბათობ. საღ. 5—7 ს-მდე. ავჭალის ქუჩა № 29 ვიღებ და ვასწავლი **მუშა-ხალხსაც** ვიწვევ მგალობლებს **ანჩისხატის საკრებულო ტაძარში**, სადაც კვირა-უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 349.

თელავში
კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება:
ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში. 1216

მასწავლებელი
ს. ა. გრიაზნოვი
ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომელო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს რულ პანსიონზე.
ვერა, იზმაილოვის მი ახვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

იყიდება მიწა და სახლი შემთხვევით ხელსაყრელ ფასად ვაკეში, **ქართული გიმნაზიის ახლოს და აგრეთვე ქალაქის სხვა და სხვა უბანში**. მსურველთ უნდა მიმართონ: **ვაკეზე**, საკუთარ სახლში, დილის 8—9 საათამდე **მ. გაუნძაძე, ტელეფ. 925**. აგრეთვე შეიძლება ადრესის დატოვება პუშკინის ქუჩისა და შუა ბაზრის კუთხეში, სახლი № 2, ზემო სართული. დილის 9 საათ. საღამოს 8 საათამდე. 391

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
მმ.
ძმეველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა ქიტკა
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დღში, იანი, ჭიპა, ზურგილები**, სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა და კონსერვები.**

ამხანაგ. ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეზხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბაგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეჟიტიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საშვილოსნო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ბეჟიტიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

არ გაგონილა!! მხოლოდ 2 მ. 95 კ.
ვგზავნით ქვემოდ ჩამოთვლილ 14 ძვირფასს ნივთს: 1 მშვენიერ მკვ დრ ჯიბის საათს კაცთათვის—„ანკერ“ (და არა ცილინდრ-) ინგლისურ შავ ფოლადისას, იმართება თავის ჭახრა ით 36 საათში ერთხელ, ხმა წკრიალა აქვს, 15 ქვიანია 2. ქალთათვის საუცხოვო ყელის ძეწკვს, ახალი ფასონ სა 3. ბრელოკი კინემატოგრაფი, კომპასით ან საუცხოვო სანახავობით. 4. ზამშის ბუდე საათისთვის. 5. მოხდენილი ბეჭედი ამერიკულ ოქროსი „დუბლე“ პარიზულის თვალით. 6. სათეატრო ბინოკლი 4 ახრამატიულ შუშით ჩვეულებრივი ზომისა, რომელიც ფრიად მოშორებულ საგნებს აახლოვებს. 7) ქურდებისაგან საათის დასაცავი. 8. პარიზის პლასტოგრაფი, ზედმიწევნით მაჩვენებელია სხვა და სხვა სანახაობისა. 9. საამისო ექვსი მეტის მეტად საგულისხმო სურათი. ყველა ამის ფასი მხოლოდ 2 მ. 95 კ., ორი წყება ღირს 5 მან. 50 კაპ., 4 წყება 10 მ. 50 კ. ასეთივე სახურავიან საათით 1 მანეთით **მეტი ღირს**. ხსენებული წყება საათით და ნივთებით საუკეთესო ღირსებისა და საუკეთესო თვისებისა 3 მან. 95 კ., ორი წყება 7 მ. და 40 კ., ესევე წყება ქალის საათით 3 მ. 70 კ გასაგზავნი ორწყებამდე—40 კ., ციმბირში გასაგზავნი 75 კ. საათსა ვგზავნით შემოწმებულ-შესწორებულს წუთი-წუთზე 8 წლის თავდებობით, ფასდადებით და უბეოდ.
მისამართი: И. Шрумфелъ, Варшава, электоральная 11. отд. 116.
ეს მისამართი ამოსჭერით და კონვერტს ან ღია წერალს დააკარით. Метцл. 27618. 1238

მიტროფანე ლაღიძის და ამხ.
ფრიად სასიამოვნო ლობისათვის მარგებსი და სურნელების **სამკურნალო**
სასმელი და ჯანმრთელი საამური გემო-
ხილეული, და **მინერალური**
წყალი
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით
გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდიან** პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი უმორჩილეს. დ ვთ ხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარწერით:**
„М. ЛАГИДЗЕ“.
ქარხნები: ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411;
ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151. 1214

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
აკაკის თხზულებანი:

რჩეული ლექსები	ფასი 10 კ.
ალექსი, (საყმაწვილო ზღაპარი	„ 10 „
ბაგრატ დიდი (ისტორ. პოემა)	„ 10 „
გამზრდელი, (პოემა)	„ 5 „
გოგია მეჩონგურე,	„ 5 „
გორის ციხე,	„ 5 „
დათუნა გოცირიძე,	„ 5 „
თამარ მეფე,	„ 5 „
იგავ არაკნი,	„ 50 „
ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი,	10 „
მამლის ყ ვილზე	„ 10 „
ნათელა,	„ 20 „
ნაცარქექია, (ზღაპარი)	„ 10 „
ორი პუბლიც. სტატია,	„ 10 „
ოცნება,	„ 10 „
სიტყვა თქმული ერთს არჩევანზე	„ 10 „
სიმღერა,	„ 15 „
ყვითელი სანთელი	„ 10 „
ქუთათლის სიზმარი	„ 5 „
ჩემი ნაწერები,	„ 75 „
ჩემი თავგადასავალი,	„ 1— „
წმინდა ნინო,	„ 20 „
Избранныя Стихотв. Акакія	„ 20 „
თხზულებანი აკაკისა ტ. პირველი	„ 1— „
„ ტომი მეორე,	„ 1— „
ახლად გამოსული წიგნები:	
მოლიპულ გზაზე, ხოშტარ.- რისთ.	1—50 „
კანონი დროებით ვალდებ. გლეხთა განთავისუფ. შესახებ, ა. ყიფშიძისა,	30 „
ვეფხის ტყაოს. ინგლ. თარგ. უორდრ.	6—

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.